645
1970



# საქართველოს ქალი

სექტემბერი
№ 9 1970 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს სახელოვანმა მეჩაიეებმა სამშობლო გაახარეს შესანიშნავი გამარჯვებით — ვადამდე შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის ხუთწლიანი გეგმა და 6 ივლისისათვის სახელმწიფოს ჩააბარეს 1.058.500 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, გეგმით გათვალისწინებული 1.040 ათასი ტონის ნაცვლად.

11.308



მებრიგადე ლუბა ჩხაიძე

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის შესახვედრად

# ლანჩხუთის რაიონი

რეპორტაჟი

## 1. ლანჩხუთში ვართ...

მშვენიერი გურიის ულამაზეს მხარეში ვართ. მამათში ვართ, მის დაკიდებულ ფერდობებზე ვართ. აცანაში ვართ, მის საამაყო სკოლაში ვართ, აკეთში ვართ, ორივეში — ქვემოშიც და ზემოშიც, მის ჩაის მწკრივებში ვართ, მის შრომის გმირებთან ვართ.

ლანჩხუთში ვართ, მის ულამაზეს სოფლებში ზემოთ-ქვემოთ ავდივართ და ჩამოვდივართ. ლესაში ვართ, ომში დაღუპულთა ხსოვნის ობელისკთან, გრიგოლეთში ვართ, შავი ზღვის პირას, პიონერთა ბანაკში. სოფელ არჩეულში ვართ, ეგნატე ნინოშვილის კარ-მიდამოში, გოგია უიშვილის, კაცია მუნჯაძის, ქრისტინეს მოსაგონებლად. პალიასტომში ვართ, კვლავ საავდროდ გამწყრალ პალიასტომთან.

და ახალი ლანჩხუთის ამბავს ვიწყებთ.

## 2. იარაღს დაუძმობილდნენ

ვიდრე ახალზე ვიტყოდეთ, ძველს ვიგონებთ, იმ გულმაგარ, ლამაზ გურულებს ვიხსენებთ, რომლებმაც ადრე გამოილვიძეს ძალმომრეობასთან საბრძოლველად, სიდუხჭირისაგან ხსნა ბრძოლაში დაინახეს და იარაღს დაუძმობილდნენ.

ლანჩხუთელი გლეხები მეფის მთავრობის

წინააღმდეგ აშკარად 1841 წლის 22 მაისს გამოვიდნენ. გურიის აჯანყების პირველი ნაპერწკალი აკეთელმა გლეხებმა დაანთეს. ისინი გადასახადების გაუქმებას მოითხოვდნენ, მაგრამ მაზრის უფროსმა იაცენკომ ყველა იმედი გაუცრუა.

1902 წელს ნიგოეთელ გლეხებს შეტაკება მოუხდათ თავად მაჭუტაძესთან. უფრო გვიან სუფსელმა გლეხებმა მოკლეს თავადი დავით გურიელი.

ლანჩხუთის რაიონის გლეხთა გამოსვლები უფრო ორგანიზებული გახდა, როცა გურიის კომიტეტი დაარსდა.

1905 წლის რევოლუციას გურიის გლეხობა მხურვალედ გამოეხმაურა. მათ დასასჯელად გენერალმა ალიხანოვ-ავარსკიმ 4.000 კაცისაგან შემდგარი რაზმი გაგზავნა. ნიგოითელი გლეხები კავკასიის მთავარმართებლობის საბჭოს წევრს სულთან კრიმ-გირეის არ დაემორჩილნენ და ალიხანოვ-ავარსკი ცეცხლითა და მახვილით გაუსწორდა გურულებს.

ამ ბრძოლებში თავი დასდეს აკეთელმა გლეხებმა. ალიხანოვის ბრძანებით სოფელი ქვემო აკეთი გადაწვეს და აჯანყებული გლეხები დასაჯეს.

რევოლუციური ცეცხლი გურიის სოფლებში სულ უფრო ჩაღდებოდა. 1915 წელს განჯიდან ლანჩხუთში გადმოიტანეს არალეგალური ბოლშევიკური სტამბა, სადაც მგზნებარე პროკლამაციები იბეჭდებოდა. ლენინმა მაღალი შეფასება მისცა ლანჩხუთის სტამბის მუშაობას.

ლანჩხუთლები მედგრად იბრძოდნენ მენშევიკების წინააღმდეგ, იბრძოდნენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთვის. ლანჩხუთელი ბესარიონ კვირკველია ლეგენდარული მე-11 არმიის პოლიტგანყოფილების უფროსი იყო.

## 3. ქალი გამოვიდა დიდ გზაზე

დღევანდელი ლანჩხუთი წინაპართა სისხლით არის მონაპოვარი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის მებრძოლმა ადამიანებმა, ამ ბრძოლაში დაღუპულმა გმირებმა გზა გაუხსნეს თავისუფალ ცხოვრებას, დაამკვიდრეს შრომის ღირსება, დასაბამი მისცეს ინდუსტრიის, სოფლის მეურნეობის, კულტურის განვითარებას.

და ადამიანი გამოვიდა დიდ გზაზე.

ვერა ბერეჟიანი ერთ-ერთი ლანჩხუთელი ქალია, რომელიც ოთხი მცირეწლოვანი შვილით, ქვრივი, ღატაკი შეხვდა ახალი ცხოვრების გარიჟრაჟს. ულამაზეს მამათში მიწური ქოხიდან გამოვიდა ნიჭიერი, ლამაზი მანდილოსანი და არავითარი შრომა არ ითაკილა. სოფლად კოლექტივიზაციის ჩამოყალიბებისას ვერა ხალხთან იყო, მასთან ერთად თოხნიდა. ჭკუაგახსნილ, პოეტურად განწყობილ ქალს სასიმღეროდ უწევდა გული. მშრომელი ხალხის გმირობა მან ლექსებით ასახა იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში. „კომუნისტი", „მუშა", „ახალი სოფელი", „დამკვრელი კომეურნე" და ბოლოს — ქალთა ჟურნალი „ჩვენი გზა", მერე კი — „მშრომელი ქალი" — ხშირად ათავსებდნენ სოფლის კორესპონდენტის — ვერა ბერეჟიანის ნაწარმოებებს.

ასე გამოვიდა უბრალო გლეხის ქალი შემოქმედებითს გზაზე.

## 4. მექანიზაცია, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით

ლანჩხუთის ფაბრიკებსა და ქარხნებში მექანიზაცია ფართოდ არის გამოყენებული. სადაც არ უნდა შეხვიდეთ, ყველგან ნახავთ, რომ ადამიანი განთავისუფლდა მძიმე შრომისაგან. მის საქმეს მანქანა შესანიშნავად ასრულებს.

ასეა ლანჩხუთის საკონსერვო ქარხანაში, რომელსაც ახალგაზრდა სპეციალისტი ოთარ ცინცაძე უდგას სათავეში. ორნახევარი მილიონი ქილის ნაცვლად ქარხნის კოლექტივი სამ მილიონ ქილა კონსერვს გამოუშვებს წელს, შრომის მექანიზაციის წყალობით. ფაბრიკის მთავარი ტექნოლოგი ბიჭიკო კვიცარიძე არ გამოდიოდა ქარხნიდან, როცა რემონტი ტარდებოდა. აქ ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ წარმოებამ მოგვცეს მაქსიმუმი, რომ კომპოტებისა და წვენების საამქროებში ყველაფერი მექანიზაციით შესრულდეს — დახარისხება, დახუფვა, პროდუქციის გატანა და სხვა.

ლანჩხუთის ხილის წვენებსა და კომპოტებზე დიდი მოთხოვნილებაა რესპუბლიკის გარეთ. წარმოება ბევრად გაიზრდება, როცა აშენდება 720 ტონის ტევადობის მაცივარი და ქარხანა უწყვეტ მუშაობაზე გადავა.

1937 წლიდან დღემდე, ესე იგი იმ დღიდან, რაც ლანჩხუთში ჩაის ფაბრიკა ამუშავდა, ფაბრიკაში დიდი ცვლილებები მოხდა.

მაშინ 300 ტონა ფოთოლი მუშავდებოდა წელიწადში. ახლა 4 ათას ტონაზე მეტი ნედლეული მუშავდება. მაშინ ყველაფერი ხელით სრულდებოდა. ახლა საამქროებში უახლესი თანამედროვე მანქანებია.

გრეხის რეჟიმის ახალი მეთოდი და საგრეხი მასალის მექანიზაციისათვის საცდელი სამუშაოები საქართველოში პირველად ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკამ ჩაატარა 1962 წელს.

წელს დაინერგა მომდნარი ფოთლის საგრეხ მანქანებში მექანიზებული ჩატვირთვა.

თბური პროცესების ავტომატური რეგულირება პირველად ამ ფაბრიკაში განხორციელდა.

ფაბრიკის პროდუქცია იგზავნება მოსკოვში, უფაში, სამარყანდში, პოლონეთში, გერმანიაში, მაროკოში, ალჟირსა და სირიაში.

გასულ წელს ჩაის ფაბრიკამ 4 ათას ტონაზე მეტი ნედლეული გადაამუშავა და 1.010 ტონა პროდუქცია გამოუშვა.

წლევანდელი მაჩვენებლები შარშანდელზე მაღალი იქნება.

თანამედროვე, ახალ მანქანებთან ქალები ჰარბობენ. მუშა ქალების გარდა, ინჟინერი — ქალია, ეკონომისტი — ქალია, ცვლის უფროსები და ტექნოლოგები ქალები არიან.

17 წელია ფაბრიკაში ლაბორატორიის გამგედ მუშაობს რიფსიმე წილოსანი. ლაბორატორია ხომ ფაბრიკის მუშაობის სარკეა. რიფსიმეს ჩაის მრეწველობაში მუშაობის 36 წლის გამოცდილება აქვს.

ფაბრიკის ყოფილმა მთავარმა ინჟინერმა ლამარა ცინცაძემ ფაბრიკაში მუშაობისას აწარმოვა მეცნიერული კვლევა-ძიება და დაიცვა სადისერტაციო შრომა „შავი და მწვანე ჩაის პარალელური წარმოების ტექნოლოგიური ეფექტურობის გამოკვლევა".



ვერა ბერეჟიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 5. ჯაპანაში მრავლდება თევზი

ძველად ამ ადგილებში გაუვალი ეკალ-ბარდები და ჭაობები იყო. 1932 წლიდან ადამიანებმა სახე უცვალეს აქაურობას — დაიწყეს თევზის მეურნეობის მოწყობა და 4 წელიწადში დაასრულეს.

მეურნეობას მაშინ 24 ჰექტარი მიწა ჰქონდა. სანაშენო თევზი რუსეთიდან შემოჰქონდათ და ადგილზე ვერ ამრავლებდნენ.

ახლა ჯაპანის თევზის მეურნეობას 140 ჰექტარი უკავია, მისი ფართობი მომავალში 200 ჰექტარამდე გაიზრდება. მეურნეობას აქვს საექიმო პუნქტი, კლუბი, ბიბლიოთეკა, სასტუმრო, სასადილო, ადმინისტრაციული სახლი.

ყოველწლიურად მეთევზეები საშუალოდ 1.000 ცენტნერ სასაქონლო თევზს იძლევიან. სეზონზე მარტო ლანჩხუთში 60 ტონამდე თევზი იყიდება. აქაური თევზით მარაგდება რესპუბლიკის მრავალი რაიონი. ჯაპანიდან სანაშენო თევზი ეგზავნება საქართველოს თევზის მეურნეობებს.

ჯაპანის ტბებში არის ადგილობრივი ჯიშის სარკისებური კობრი, ბალახმჭამელი თეთრი ამური, შავი ამური, თეთრი სქელშუბლა, ჭრელი სქელშუბლა.

მეურნეობის დირექტორი ყოფილი მეზღვაური კარლო ჩაგანავა, მოსვლისთანავე მტკიცე შემართებით შეუდგა საქმეს.

მდინარე რიონზე ააშენეს მძლავრი წყალსაქაჩი სადგური, რომელიც წყლით უზრუნველჰყოფს 180 ჰექტარ ფართობს.

აითვისეს 70 ჰექტარი ახალი სათევზე ტბორი, ააშენეს ბალახმჭამელი თევზების გამოსაჩეკი საინკუბატორო სადგური. იგი თავისი სიმძლავრით პირველია საბჭოთა კავშირში და ერთდროულად შეუძლია 8 მილიონი ცალი ლიფსიტის გამოჩეკა.

ჯაპანის მეურნეობას დიდი პერსპექტივები აქვს.

## 6. კომუნისტური შრომის სოფელი

ასე ეწოდება ქვემო აკეთს, სოფელს, რომლის კოლმეურნეობას ჰყავს ძალიან მომხიბლავი თავმჯდომარე, მომხიბლავი თავისი ადამიანური თვისებებით. ნესტორ ღლონტი, ომგადახდილი რომ დაბრუნდა ფრონტიდან, კოლმეურნეობაში აგრონომად მოვიდა. გავიდა წლები და ეს ჭკვიანი კაცი თავმჯდომარედ აირჩიეს, მას შემდეგ ნესტორ ღლონტი თავმჯდომარეა — შრომისმოყვარე, თავმდაბალი, ხალხის კეთილდღეობისათვის მზრუნველი.

ქვემოაკეთლებმა გვითხრეს, რომ მათი თავმჯდომარე მათთან ერთად თოხნის, ბარავს, კრეფს ჩაის, ამუშავებს მიწას... და შრომადღეები არ ეწერება.

ნესტორს მიაჩნია, რომ თავმჯდომარე ასე უნდა შრომობდეს მიწაზე, ამ შრომის საფასურად კი ხელფასი ეძლევა. მისი მეუღლე მარიამ წიტაიშვილი სოციალისტური შრომის გმირია და შრომაში ქმარს არ ჩამორჩება.

სოფელი, ალბათ, რაღაც განსაკუთრებულია, კომუნისტური შრომის სახელს რომ ატარებს.

ეს „რაღაც განსაკუთრებული“ მის ადამიანებში და მათ მიღწევებში უნდა ვეძებოთ.

სოფელში 280 კომლი და 1.200 ადამიანი ცხოვრობს. 1930 წლამდე ქვემოაკეთლებს გლეხურ მეურნეობებში მოჰყავდათ სიმინდი, სოია, ლობიო. ზოგიერთები ამზადებდნენ კრამიტსა და თიხის ჭურჭელს.

1930 წელს სოფელში ჩამოყალიბდა სასოფლო-სამეურნეო არტელი და საფუძველი ჩაეყარა ჩაის მეურნეობას.

1940 წლისათვის ჩაის პლანტაციამ 45 ჰექტარს მიაღწია, 1947 წლისათვის კი — 55 ჰექტარს.

ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეობათა შორის პირველად ქვემო აკეთში დაინერგა აკადემიკოს ქსენია ბახტაძის მიერ გამოყვანილი სელექციური ჩაის უხვმოსავლიანი ჯიშები. სელექციურ ჩაის ამჟამად 22 ჰექტარი უჭირავს, მათგან 6 ჰექტარი სრულმოსავლიანია.

კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციები 135 ჰექტარზეა გადაჭიმული, მათ შორის მოსავლიანია 90 ჰექტარი, ხეხილი 15 ჰექტარზე აქვთ, ციტრუსები — 13-ზე, დაფნა — 3,5-ზე, ტუნგო — 7-ზე, ვენახი — 1-ზე, თუთა — 10 ჰექტარზე. კოლმეურნეობას 223 ჰექტარი სახნავი აქვს, 90,25 ჰექტარი — საძოვარი .

ქვემო აკეთს ოთხი სოციალისტური შრომის გმირი ჰყავს. ერთია მესიმინდე სიმონ ღლონტი, დანარჩენები ქალები არიან — მეაბრეშუმეები: ლუბა ჩხიკვაძე და მარიამ წიტაიშვილი, მეჩაიე ნინო ღლონტი. 105 სოფლის მეურნეობის მუშაკი დაჯილდოებულია მთავრობის უმაღლესი ჯილდოებით — ორდენებითა და მედლებით.

სოფელში 76 კაცი უმაღლესი განათლებითაა, მათ შორის 4 მეცნიერ მუშაკია, 223 კოლმეურნეს მინიჭებული აქვს კომუნისტური შრომის დამკვრელის საპატიო წოდება.

კოლმეურნეობას ჰყავს კარგი სპეციალისტი, საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი, სამამულო ომის ღრმა იატაკქვეშეთის პარტიზანული რაზმის მებრძოლი ალექსანდრე მორჩილაძე.

სოციალისტური შრომის გმირს ლუბა ჩხიკვაძეს ბინაზე ვეწვიეთ. 1951 წელს გახდა იგი გმირი აბრეშუმის პარკის უხვი მოსავლის მიღებისათვის. მას შემდეგ სულ ჰყავს აბრეშუმი. ლუბა პროფესიით ექთანია და სოფლის საავადმყოფოში მუშაობს. მედლის პირველი ნათლობა კი სამამულო ომის ფრონტზე მიიღო.

ლუბა საქმით დაგვიხვდა დაკავებული — ფოთოლს ამზადებდა ჭიისთვის.

მისი მაჩვენებლები სარეკორდოა:

1967 წელს 17 გრამი მურიდან 172 კილოგრამი პარკი მიიღო;

1968 წელს 10 გრამიდან — 132 კილოგრამი;

1969 წელს 10 გრამიდან — 140 კილოგრამი.

წელს 10 გრამი მურიდან ლუბამ კვლავ დიდი მოსავალი მიიღო.

აი, რა შეუძლია ადამიანის მონდომებას.

სოფელი ქალაქურად ცხოვრობს. ქვემოაკეთლებს ყველაფერი აქვთ, რაც დღეს ადამიანს სჭირდება.

კოლმეურნეებს ემსახურება კეთილმოწყობილი მაღაზია, პურის საცხობი, აბანო, საპარიკმახერო, საბავშვო ბაღი, მედპუნქტი. ორი კაპიტალური წისქვილი, კლუბი 500-ადგილიანი დარბაზით, ფართოეკრანიანი კინო-სტაციონარი. სოფელი მთლიანად ელექტროფიცირებულია, აქვთ რადიო, აშენდა 8-წლიანი სკოლის ახალი შენობა, დაიგო ასფალტი, კეთილმოეწყო სოფლის ცენტრი.

სოფლის ახალგაზრდობას აქვს კომპლექსური მარტივი ტიპის სპორტული მოედანი. ახალგაზრდები ხშირად იყრიან თავს კლუბში, სადაც თვითმოქმედი წრეები მეცადინეობენ, სხედან ბიბლიოთეკაში, ესწრებიან კინოფილმებს, თამაშობენ ბილიარდს, შაშს, ჭადრაკს.

აი, რატომ არის, რომ სოფლიდან ახალგაზრდობა არსად მიდის!

145 ჭაბუკი და ქალიშვილი შრომობს კოლმეურნეობაში. ყოველთვის მოწინავეა კომკავშირული რგოლები. 22 ახალგაზრდა უმაღლეს სასწავლებელში დაუსწრებლად სწავლობს, 15 — საშუალო სპეციალურ სასწავლებელში, 22-მა ახალგაზრდამ დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი და ახლა სპეციალობის მიხედვით სოფელში მუშაობენ.

სოფლის თავკაცმა ნესტორ ღლონტმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ახალგაზრდები სოფელში ტრიალებდნენ, სოფელში ახალგაზრდული განწყობილება იყოს.

8-წლიან სკოლას ჰყავს ახალგაზრდა მასწავლებელი მაყვალა ღლონტი.

ვეტერანებს გვერდში უდგანან ახალგაზრდა მეჩაიეები — თამარ მორჩილაძე, მედეა გოგელია, ნაზი ჩიტიძე, დარეჯან და იათამზე ჩხაიძეები. ახალგაზრდები არიან ბახტაძის ჩაის სელექციური ჯიშის პლანტაციებში.

სოფელში მეაბრეშუმეობა მოწინავე დარგია. ეთერ მორჩილაძემ დაუსწრებლად მიიღო უმაღლესი განათლება და ამ დარგს ხელმძღვანელობს.

ახალგაზრდობა დიდი ძალაა ქვემო აკეთში. შარშან ახალგაზრდებმა 180 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფეს, 1.310 ცენტნერი სიმინდი ჩააბარეს სამშობლოს, ასობით კილოგრამი აბრეშუმის პარკი მიიღეს.

სოფლის რვაწლიან სკოლაში 150-მდე ბავშვი სწავლობს, 50-მდე ბავშვი აკეთის საშუალო სკოლაშია. სკოლამდელები საბავშვო ბაღში იზრდებიან; მალე ეს ნორჩები ახალგაზრდები გახდებიან და სოფელში იტრიალებენ. კომუნისტური შრომის სოფელი კვლავაც ახალგაზრდა იქნება.

ლია კაკაბაძე



ნინოშვილის სახლ-მუზეუმი

# ნინოშვილის გურია

როგორ მებრალებიან ისინი, ვინც აქედან წავიდა და აღარ დაბრუნდა. ვისი გამოსათხოვარი მზერა ველარ მოწვდა ამ ატეხილ მთათა სილურჯეს, მოოქროვილ გუმბათს ცისას, ვისაც სანატრელად დარჩა თავისი ეზო-კარმიდამოს გრილი კონდარი, იზაბელას შავი ტევრი და ჭასთან მომლოდინე ოწინარი.

მათ შუბლს უკვდავების ნათელი ადგას.

სამარადისო დიდება გმირებს!

მაგრამ მაინც როგორ მებრალებიან ეს ქოჩორგადავარცხნილი ბიჭები თავზე პილოტურით, მხარზე ავტომატით, შუბლგახსნილები, გაღიმებულები. მათ წილხვედრ მიწაზე ახლა მე დავდივარ. საათობით შევცქერი მათ სურათებს მამათში, აკეთში, ჩიბათში, ხორეთმოედანში... თვითონ ისინი კი აქედან შორს — ათასობით კილომეტრს იქით წვანან — ბრესტში, ტექსელში, მოსკოვთან, ბერლინთან...

გრანდიოზული საძმო სასაფლაოს ობელისკთან უქრობი ცეცხლი ანთია, — ეს ცეცხლი შენც გინათებს, ლანჩხუთელო ბიჭო; ბელორუსული პატარა სოფლის სასაფლაოზე შენი საფლავის თავთით ხის წითელი ვარსკვლავი კიაფობს; შორს, ჩრდილოეთში მარტოდმარტო წევხარ მეგობრის ხელით გაჭრილ სამარეში და ყოველ გაზაფხულზე ტყის პირას ბლუჯა-ბლუჯად ამოსული ყაყაჩოები მდაბლად გიხრიან თავს.

ექვსი ათასი მეომარი გაისტუმრა ამ პატარა რაიონმა სამშობლოს დასაცავად და უკან მხოლოდ ორი ათასი დაბრუნდა.

სამარადისო დიდება გმირებს!

მათი ხსოვნის უკვდავსაყოფი ძეგლები, მოზაიკით დამშვენებული მემორიალური დაფები და ქანდაკებები ლანჩხუთის რაიონის ყველა სოფელშია აღმართული, ყველაზე გამოსაჩენ, საპატიო ადგილას.

დიდება ამ ხალხს — მოსიყვარულე, გამრჯე, მუხლჩაუხრელ ხალხს, ვისაც ასეთი მზრუნველობით შემოუნახავს თავისი ადრე წასული შვილების ხსოვნა.

მე არ ვიცი, ვინ აპრიალებს ამ ობელისკებს ასე გულდაგულ, ვისი ხელითაა დაკრეფილი ეს მინდვრის ყვავილები, ვინ აცილებს მტვერს საყვარელ სახეებს. — ალბათ, ყველა ერთად, მთელი სოფელი.

**„...აჰა, ამ დღისთვის გაგიზარდე, მამულო, შვილი,**
**სიცოცხლე მივეც, რომ შეეძლოს შენთვის სიკვდილი“...**

ლესაში მემორიალურ კედელზე ეს სტრიქონები და სამი მგლოვიარე ქალის ფიგურაა ამოკვეთილი. ნეტავ, ვინ არიან ეს ქალები? იქნებ, მიშა, ოტია და რუბენ სარჯველაძეების დედა? — აგერ, მათი სახელები. იქნებ, ვალიკო, კარლო და სევერიანე კომახიძეებს ტირის მოხუცი მაკინე? ნეტავ, შენ ვის დაუთუთქე გული, მედდავ — ოლია გოგიჩაიშვილო?

კედლის გასწვრივ საპატიო ყარაულივით ჩამწკრივებულან ნაძვები და ბზის ბუჩქები. კვარცხლბეკზე უქრობი ცეცხლი ანთია. მარმარილოს დაფაზე ორას ხუთი სახელია ამოჭრილი. სოფელში კი სულ ხუთას თორმეტი კომლი იყო...

ასსამოცი ადამიანი არ დაბრუნდა მამათში,

ას თექვსმეტი — ქვემო აკეთში,
ორას ოცი — შუხუთში,
ორას ოთხმოცდათხუთმეტი — სუფსაში...

მალე იქაც გაიხსნება შინმოუსვლელთა ძეგლი. ჩვენ ვნახეთ ბრეზენტშემოხვეული სკულპტურა. გვითხრეს, ქალის ფიგურა არისო. გამწარებული დედა სუფსაში ბევრია, მაგრამ ამ ქანდაკების დანახვისას ყველას უთუოდ კასინე მჟავია გაახსენდება, შვიდი ვაჟკაცის გამზრდელი, შვიდივე რომ ბრძოლის ველზე გაისტუმრა და სულ ახლახან გარდაიცვალა ისე, რომ ვერცერთის დაბრუნებას ვერ ეღირსა.

ქვემო აკეთის კოლმეურნეობის კანტორის ვეებერთელა შენობაში პირველი სართულის კედლები შინმოუსვლელთა სურათებით არის დაფარული. გოგელიები, მორჩილაძეები, ღლონტები, მათითაიშვილები... ოთხი ძმა. მამა და ვაჟიშვილი. მამა და ორი ვაჟიშვილი. მაგრამ ყველაზე უფრო ერთმანეთის გვერდით დაკიდული ხუთი ცარიელი ჩარჩოს დანახვამ შემძრა. სურათის გადაღებაც არ დასცლიათ, ისე წასულან აქედან კუკური ჯაყელი, მიშა სალუქვაძე, ესე, ტროფიმე და გური მორჩილაძეები...

როგორ არ მინდოდა, ეს ნარკვევი ასე სევდიანად დამეწყო. მესამე დღეა, ლანჩხუთის რაიონში ვიმყოფებით და აქ ყოფნის ყოველი დღე სასიხარულო აღმოჩენებით არის სავსე. დავდივართ ამ წალკოტადქცეულ მიწაზე, ახალი საცხოვრებელი სახლებით, დიდებული კულტურის სახლებით, მოასფალტებული გზებით დამშვენებულ სოფლებში და არცერთი წუთით არ გვავიწყდება, რომ ეს იმ გმირებმა შეგვინარჩუნეს დღევანდელი დღე. ასეც უნდა იყოს. ამ მიზნით დაიწყო შინმოუსვლელთა უკვდავსაყოფი ძეგლების მშენებლობა, ასე ფართოდ რომ გაიშალა ჩვენს ქვეყანაში. გამარჯვების ოცდახუთი წლისთავისათვის მზადების პერიოდში ლანჩხუთის ქალთა საბჭომ, რომელსაც რაიონული გაზეთის რედაქტორი თამარ დოლიძე ხელმძღვანელობს, ძეგლების მშენებლობაზე გამოცხადებულ რესპუბლიკურ კონკურსში მესამე ადგილი დაიკავა.

არ ამხელენ, მაგრამ მაინც იგრძნობა, რომ ეს შეჯიბრება მარტო რაიონებს შორის კი არა, თვით სოფლებს შორისაც არის. როცა ერთი სოფლის თავკაცს ვეუბნებით, რა მშვენიერი ძეგლი დაგიდგიათთქო, თავაზიანად გვიხდის მადლობას და იქვე გვეკითხება — სხვა რომელი ნახეთ და ის როგორ მოგეწონათო.

თქვენ შეგიძლიათ ამას თავისგამოჩენის სურვილი უწოდოთ, აი, ამ მონდომებას — გააკეთოს ისეთი რამ, რაც სხვას არ გაუკეთებია, გააკეთოს სხვაზე უკეთესად, ისე, რომ თვალი დარჩეს მტერსაც და მოყვარესაც. კაცმა რომ თქვას, ეს ქართველი კაცის თვისებაა. გურულ ხალხში ჩანს, ეს თვისება კიდევ რაღაც ხარისხშია აყვანილი და, თანდაყოლილი გემოვნების, ფანტაზიისა და სიბეჯითის წყალობით, მშვენიერ შედეგსაც იძლევა.

ასე, მაგალითად, ლანჩხუთის რაიონმა ამ ბოლო ხანებში ორი საინტერესო საქმე წამოიწყო. ორივე იდეა ლანჩხუთის მკვიდრს, ამჟამად თბილისში მცხოვრებ რობერტ სა-

რიშვილს ეკუთვნის. როგორი ენთუზიაზმით მოჰკიდეს ხელი აქაურებმა მათ განხორციელებას!

პირველი — ბიბლიოთეკა-მუზეუმი გახლავთ სოფელ მოედანში. „უნიკალური ბიბლიოთეკა, რომლის მსგავსი მსოფლიოში არსად არის“, — გვითხრა იორდანე გუჯაბიძემ, ამ სოფლის დაწყებითი სკოლის დირექტორმა და, შეთავსებით, ბიბლიოთეკის გამგემ. რაში მდგომარეობს ამ ბიბლიოთეკის უნიკალობა? იმაში, რომ აქ მხოლოდ და მხოლოდ ავტოგრაფიანი წიგნები ინახება. მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან უგზავნიან ბიბლიოთეკას წიგნებს თავისი ავტოგრაფებით მწერლები და მთარგმნელები. მალე ბიბლიოთეკა-მუზეუმს ახალი, სპეციალური შენობა უნდა აუგონ და იორდანე გუჯაბიძე საშინლად ღელავს, რომ მშენებლობა არ შეფერხდეს, რადგან სოფლის ბიბლიოთეკაში უკვე ადგილი აღარ არის წიგნებით სავსე კონტეინერებისთვის.

მეორე — და ესეც სრულიად ორიგინალური წამოწყება — ქართველ ლაურეატთა მუზეუმი გახლავთ. მას მამათში, კოლმეურნეობის კანტორის შენობაში გამოუყვეს დიდი დარბაზი. აქ ექსპონირებულია ქართველ ლაურეატთა პორტრეტები, მათ მიერ შემოწირული პირადი ნივთები, ავტოგრაფები.

„მივესალმები თქვენს ინიციატივას, გაახლებთ იმ შანდალს, რომელიც მინათებდა ომისშემდგომი უსინათლობის დროს და მშველიდა ჩემი ტეტრალოგიის — „დავით აღმაშენებლის“ წერისას“, — წერს კონსტანტინე გამსახურდია.

აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილს მუზეუმისთვის კერამიკის ფრაგმენტები მოურთმევია თურქეთის ძველი სატახტო ქალაქის გათხრებიდან. ირაკლი აბაშიძეს — თავისი პირადობის მოწმობა, სულხან ცინცაძეს — ფირფიტა ბალეტ „დემონის“ ფრაგმენტებით, მედეა ჯაფარიძეს — გობელენი ტექსელიდან, სპარტაკ ბაღაშვილს — არსენას ქუდი კინოფილმ „არსენადან“, რეზო ჩხეიძეს — სარეჟისორო სცენარი კინოფილმ „ჯარისკაცის მამისა“ და ის ჯარისკაცული საბრძოლო მედლები, რომლებიც მკერდს უმშვენებდნენ გიორგი მახარაშვილს, როცა იგი ბერლინისკენ მიდიოდა.

„თუ კი ქართველი ხალხის სასახელოდ კაცი რამეს გააკეთებს, ამაზე დასაფასებელი რა უნდა იყოს? — წერს რეჟისორი. — ღმერთმა ისე ჰქნას, რომ იმრავლოს იმ ქართველთა რიგებმა, რომლებიც მოიპოვებენ უფლებას დადგნენ სწორუპოვარი ფალავნების — საერთაშორისო და ნაციონალურ პრემიათა ლაურეატების გვერდით!“

ამაზე უკეთესს რას ინატრებს კაცი!

ღმერთმა ისე ჰქნას, დავუმატებდი ჩემი მხრიდან, რომ ყველგან ისე აფასებდნენ თავის სახელოვან თანამემამულეებს, როგორც ლანჩხუთში. ამ სოფლებს ბევრი სახელოვანი შვილი მოუციათ ჩვენი სამშობლოსათვის — მეცნიერი, მწერალი თუ სახელმწიფო მოღვაწე. ჰოდა, პირველი, რასაც ჩვენი მეგზურები — თამარ დოლიძე და თინა იმნაძე გვეტყვიან ხოლმე, როცა რომელიმე სოფელში შევდივართ, არის: სოფელ ლესაში — „იცით, ეს მამია გურიელის სამშობლოა“, ყელაში — „აი, აქაურია აკადემიკოსი ვიქტორ კუპრაძე“ და ასე...

როგორ მინდა ყველამ ნახოს, რა სასოებით არის მოვლილი ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმი სოფელ არჩეულში, ყოფილ ჩიქვეთში. ან შეიძლება კია ქართველმა კაცმა ეს წმიდათა წმიდა ადგილი არ მოინახულოს?

რა მშვენიერია ეს მდორე და გამჭვირვალე მდინარე და მასში არეკლილი პატარა თეთრი ხიდი. მწვანედ დაბურული ეზო ალავარდნილი ვარდებით, გლიცინიის ტევრით, სახლის უკან ფერდობზე შეფენილი დაბურული ტყე. ეს დიდებული სიჩუმე, ისეთი სიჩუმე, რომ რაგინდ დაღლილი და აფორიაქებულიც არ უნდა იყო, წამსვე მშვიდდები, თითქოს ვიღაცამ გრილი ხელი დაგადო შუბლზე... მერე ამ სიჩუმეში შაშვი დაიჭახჭახებს, იმას მოლაღური შეეხმიანება. აიხედავ ზევით და დაინახავ, რომ ხეების ტოტები აფრთხიალებული ფრთოსნებით არის სავსე. „დილა ადრიანად უნდა მობრძანებულიყავით, — გვეუბნება მასპინძელი, — ან საღამოს დარჩით. მერწმუნეთ, არაფერი ჯობს აქ ბულბულების გალობის მოსმენას“.

მიხეილ ვადაჭკორია ბუნებას თითქოს საგანგებოდ ამ მუზეუმის გამგედ გაუჩენია. მისი საოცრად წრფელი, ღიმილდაფენილი სახე, ფართოდ გახელილი ცისფერი თვალები და ადრე გათეთრებული ხვეული თმა საოცრად უხდება ამ გარემოს. მერე, როცა საუბარს შეუდგები და მის მშვენიერ, დახვეწილ ქართულს უსმენ, შენთვის ნათელი ხდება, რომ ეს კაცი თავისი საქმით სულდგმულობს და ეს სახლ-მუზეუმი მისთვის იმასვე ნიშნავს, რასაც ქურუმისთვის ტაძარი.

სწორედ ჩვენი ჩამოსვლის წინა დღეებში დამთავრდა სარესტავრაციო სამუშაოები ნინოშვილისეულ ოდა-სახლში. ჩვენი მასპინძელი დაგვყვებოდა და დაწვრილებით გვიამბობდა თითოეული ექსპონატის ისტორიას. ათასჯერ აღნუსხულ ფაქტებს, მწერლის ბიოგრაფიის უმცირეს დეტალებს ის ისეთი შთაგონებით გადმოგვცემდა, თითქოს მისთვის ეს ყველაფერი ახალი იყო. ის გვიამბობდა და ჩვენს თვალწინ დგებოდა ნინოშვილის გურია — სევდიანი მხარე, ფარღალალა ჯარგვლებით, ჭაობებით, მშიერტიტველი ბავშვებით. უსაწვლელობა, უუფლებობა, ჭლექი...

გურიაში რომ ჩამოხვალ, პირველად ნინოშვილის მუზეუმი უნდა მოინახულო და ეს ფოტოსურათები დაათვალიერო. მხოლოდ



მამათის კოლმეურნეობის კანტორა



სოფელი ლესა. მემორიალური კედელი

მაშინ შესძლებ წარმოიდგინო მთელი გრანდიოზულობით ის ცვლილებები, რაც ამ მხარემ განიცადა ორმოცდაათი წლის მანძილზე.

აყვავებულ ეზოებში ჩამდგარი ორსართულიანი აგურის სახლები, სახურავზე სატელევიზიო ანტენით, კოლმეურნეობის კანტორის ვეებერთელა შენობები, ოთხას-ხუთასადგილიანი კლუბები, სამსართულიანი სკოლები ფართო ვესტიბულებით, ვრცელი საკლასო ოთახებით, ძვირფასად აღჭურვილი სასწავლო კაბინეტებით — ასეთია თანამედროვე სოფლის სურათი.

შელამდება და ელექტრონის შუქში აცურდება ყველა სოფელი. ყველგან არის რადიო, გაზი, საექიმო პუნქტი, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი. აკეთში, ჯურუყვეთში, სუფსაში და ჩოჩხათში მშვენიერი საავადმყოფოებია ოცი-ოცდახუთი საწოლით. თვითონ ლანჩხუთში კი ორასადგილიანი საავადმყოფოა. ახლახან აქ აიგო ახალი სამშობიარო სახლი და ბავშვთა სარძევე სამზარეულო, რომელიც ერთ წლამდე ასაკის ბავშვებისათვის ყოველდღიურად უფასოდ ათას ულუფას გასცემს. მომავალი წლის სექტემბრისათვის ქალაქის ცენტრში ასორმოცადგილიანი ბაგა-ბაღი აშენდება.



პატარა მომღერლები

საბავშვო ბაღები ბევრ სოფელშია აქვთ. მომავალში მათი მშენებლობა უფრო ფართოდ არის დაგეგმილი. სულ მალე ღრმაღელის მეურნეობაში ხუთი საბავშვო ბაღი უნდა გახსნან; კოლმეურნეობის სახსრებით შენდება მუდმივმოქმედი ბაღი სოფელ ეწერში...

ასეთია ფაქტები, რომელთა მშრალად ჩამოთვლაც კი ძალიან შორს წაგვიყვანდა. როგორღა გადმოგცეთ ის შთაბეჭდილება, რომელიც ჩვენზე მოახდინა აცანის საშუალო სკოლის მუშაობის გაცნობამ, სადაც მოსწავლეებს ისეთი პირობები აქვთ შექმნილი, რომ დედაქალაქის ბევრ სკოლას შეშურდება.

როგორ დაგანახვოთ გულიანის კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივნის — ცხრამეტი წლის გულნაზი ჯიჯეიშვილის მომხიბლაობა, მისი მერცხალივით გაფრენილი წარბები, პოეტური ბუნება და ჩაის მკრეფავის მარდი, საოცრად მარდი ხელები?

ან ის საღამო, ლანჩხუთის თეატრის შენობაში რომ გაიმართა? შეუდარებელი კრიმანჭული, ჩოჩხათელ ჩაის მკრეფავს რომ გამოჰყავდა, მუსიკალური სკოლის გუნდის მიერ შესანიშნავად შესრულებული რევაზ ლაღიძის, მერი დავითაშვილისა და ლილი იაშვილის სიმღერები. გუნდის ხელმძღვანელის — ლუიზა ჯიჯეიშვილის აღტაცებული და შთაგონებული სახე.

ან თქვენ როგორ არ მოგიხსენიოთ, ჩემო პატარა მომღერლებო — ნანო, მაია, ნინო და ბადრი? მე გისურვებდით, სასახელოდ დაგემთავრებინოთ თქვენი მუსიკალური სკოლა და თქვენი დირექტორის — მარიკა ორაგველიძის კვალში ჩამდგარიყავით. მან ხომ წარმატებით დაამთავრა თბილისის კონსერვატორია და მას შემდეგ მთელ თავის ნიჭსა და უნარს თავისი პატარა თანამემამულეების აღზრდას ახმარს...

.. დაიხურა ბლოკნოტის ბოლო ფურცელი, ჩვენი მოგზაურობა დასრულდა, და, ერთი მწერლის არ იყოს, ჯერ არ წავსულვარ და უკვე მენატრება აქაურობა.

მენატრება კოკათის ულამაზესი გადასახედი — ერთმანეთზე მიჯრილი შორეული მთები, ვერცხლისფრად დაკლაკნილი სუფსა, სადღაც უსასრულობაში რომ იკარგება.

მენატრებიან ჩვენი მასპინძლები — პლანტაციებში, საკოლმეურნეო მინდვრებსა და დაწესებულებებში რომ ვხვდებოდით, სიტყვა მოსწრებული, გულგაშლილი, თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული ადამიანები, რომლებთან შეხვედრამ სულში ბევრი ახალი კვალი გაავლო და ბევრი სიხარული განმაცდევინა.

და ვიცი, კიდევ არა ერთხელ მომენატრება, ვიდგე ამ სურნელდაკმეული ცაცხვის ძირას, ნიავი არხევდეს საუკუნოვანი ხის ტოტებს და ყვითელი ყვავილები მაცვივოდეს მხრებზე. ვიდგე და ვუყურებდე ამ მხარეს, რომლისადმი სიყვარულმა სულის ყველა კუნჭული ამოავსო. „რადგან გურია, — სთქვა გიორგი ლეონიძემ, — თავისუფლების და სილამაზის ნავსადგურია“...

**ნაწული ბარათაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგი ლაბაძე

# მზის ნათელი

(მოთხრობა)

მხატვარი ლ. შენგელია

გამოეღვიძა. იატაკზე საშუადღეოდ წამოსული მზის ნათელი გაწოლილიყო და მიხვდა, თორმეტი ან პირველის ნახევარი იქნებოდა. ღამღამობით გვიან-გვიან მოჰყავდათ, და თვალს რომ გაახელდა, ეს ნათელი ერთგული ძაღლივით უწვა ხოლმე საწოლის გვერდით, იატაკზე. ისე შეეჩვია — ზამთარში რა მეშველებაო, ფიქრობდა და იცინოდა. ღამით, რაც უნდა დაღლილი დაწოლილიყო, დილით მაინც მხიარული იღვიძებდა და თვალები ვარსკვლავებივით უციმციმებდა. ეს პირველად ერთმა ბიჭმა უთხრა.

„დაიცა, ვინ მითხრა? — ბალიშებზე წამოიწია, — ჰო, ვაჟამ... იმიტომ მიყვარხარ და შენთან ყოფნა იმიტომ მიხარია, ვარსკვლავგოგონა ხარო“.

გაიცინა. ერთხანს გულიანად კისკისებდა თავისთვის. მერე თავზე საბანი წაიფარა, მაშინვე გადაიძრო და მზის ნათელს — თავის ერთგულ დარაჯს თვალი ჩაუკრა.

— მართლა ასეა, მზის ნათელო? — უთხრა ხმამაღლა, — შენ ვაჟას არ იცნობ, არა? ის რომ აქ დადიოდა, მაშინ შენ არ იყავი. ზამთარი იყო, ქვეყნის საქმე გქონდა და ჩემთან შემოსარბენად სად გეცალა. ვაჟა კი ჩინებული ბიჭი იყო. ნეტა ახლა სად არის?

მერე დაფიქრდა:

„რამდენი ხანია, არ მინახავს. ნეტა მართლა ვუყვარდი? რას გაიგებ ამ ბიჭებისას. მე კი ხელად მომბეზრდა. რა ვქნა, მზის ნათელო, ვიცი საძაგელი გომბიო ვარ, მაგრამ სხვანაირად რომ არ შემიძლია? ვაჟაც მომბეზრდა, მერაბიც, რეზოც... ყველანი, ყველანი...“

ახლა წუხანდელი ღამე გაახსენდა... თენგიზი, და მოთენთილ სხეულში ისევ იმ ნაცნობმა გრძნობამ დაუარა.

წამოდგა. ფეხშიშველი გატყაპუნდა სააბაზანოში და კარგა ხანს იბორიალა იქ. მერე შხაპი გადაივლო, დიდი ღუნღულა პირსახოცით გაიმშრალა ტანი და საძინებელ ოთახში გავიდა. სარკის წინ ჩამოჯდა. ერთხანს გულდასმით ათვალიერებდა თავს, მერე კისერზე მოივლო ხელი:

„საწყალი ყინწი!“

ამან მშობლები გაახსენა და მონატრული აკისკისდა. დედისერთა გოგო იყო, ისედაც ნებიერად ზრდიდნენ, მაგრამ თუ რაიმეზე მაინც უარს ეტყოდნენ, კარგად იცოდა, როგორ უნდა გაეტეხა მათი სიჯიუტე.

„საწყალი მანანა, — დაიწყებდა და თვალებს დაისევდიანებდა, — საწყალი, საწყალი, გამხდარი მანანა... რა ქნას? არავის არ ეცოდება. არის იმხელა ქალაქში მარტო და კაცი არ ჰყავს პატრონი. სულ ჩამოდნა, გაილია... საბრალო, საცოდავი“.

— კარგი, კარგი ახლა, კარგი, ჰო... — ამბობდა მამა, დედას კი თვალებში ცრემლი ერეოდა. შეძლებული მშობლები ჰყავდა, თავად რაიონში ცხოვრობდნენ და ქალიშვილმა უმაღლესი რომ დაამთავრა, ეს ოროთახიანი ბინა უყიდეს ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე. ცხოვრობდა ასე — უზრუნველად, პეპელასავით...

„მაინც ზოგი ბიჭი ისეთია, ძმად თუ გამოგადგება, ან ძმობილად, — გაეცინა მანანას, — ზოგი კი... ღმერთო! გვერდით რომ მოგიჯდება, სუნთქვა გეკვრება და ხმა გიწყდება... საინტერესოა...“

„საინტერესოაო“, — ამაზე გულიანად გადაიკისკისა. სარკეში იყურებოდა და უცებ დაინახა, როგორ დაასხდა თვალის გუგებთან წვრილ-წვრილი ნაოჭები. მაშინვე შეწყვიტა სიცილი და დიდხანს იყურა სარკეში.

„არა... ეს ალბათ დაღლილობის ბრალია“, — გაიფიქრა და მთელი ტანით აღიმართა სარკეში. სრიალა, ჩამოქნილმა ფეხებმა სულ გამოუკეთეს გუნება და ისევ იმ „საინტერესო“ ამბებს გადაწვდა მისი ფიქრები.

ისეთ ბიჭებს, სუნთქვას რომ გკრავს, ყოველ ფეხის ნაბიჯზე როდი შეხვდები, მაგრამ მანანას მაინც წყალობდა ბედი. ვისთანაც კი უვლია, ყველა თითქმის ასეთი იყო. ერთი შეხედვით ცნობდა და არც გუმანი ღალატობდა. თუმცა თენგიზი? არა, თენგიზთანაც სუნთქვა ეკვროდა... ქუჩაში ჩხუბის დროს გაიცნო, ისე არწივივით აბრიალებდა თვალებს, მანანა მონუსხულივით მიეჯაჭვა ადგილზე და გაიტრუნა.

„ღმერთო, — სარკეში უთხრა თავის თავს, — რა მალე მომბეზრდა. ეს ყველაზე ჩქარა მომბეზრდა. აღარ შემიძლია მეტი...“

წამოდგა. ახალი ლამაზი პერანგი გამოიღო და გადაიცვა. ესიამოვნა აბრეშუმის სიგრილე. ერთხანს · ასე დატუსტუსებდა. მერე ფანჯარა გამოაღო და ახლა ვარსკვლავებით კი არა, მზით აევსო თვალები.

„ძალიან დღე კია, — გაიფიქრა, — კარგია ახლა რუსთაველზე მარტოდმარტო გასეირნება“.

„მარტოდმარტო გასეირნებამ“ ნაცნობი მღელვარებით აუჩქროლა გული. კარადისკენ გაემართა და წინდებს დაუწყო ძებნა.

დიდხანს და ლამაზად იცვამდა. მერე მზადებას მორჩა და აულაგებელ საწოლს ზანტად გადაავლო თვალი.

— იყოს, მერე ვიზამ... ნახვამდის, მზის ნათელო! შენ, ალბათ, ჩემს მოსვლამდე წახვალ. მომიკითხე შენი დედიკო.

გამოვიდა და კარი გამოიკეტა. მსუბუქად დაეშვა კიბეზე. ეზოში მეზობლის ქალი იდგა და ცოცხს რეცხავდა.

— გამარჯობა, დეიდა კატუშა!

— გაგიმარჯოს, მზეთუნახავო, — ხელები შეიმშრალა ქალმა, — სადა ხარ, სად დაიკარგე? ძაან მოგვანატრე თავი.

— რა ვქნა, დეიდა კატუშა, საქმეები, ხომ იცით.

— აბა, აბა, — თქვა ქალმა და მერე დაუმატა: — ეჰ, კარგია, კარგი, ახალგაზრდობა...

მანანამ გაუღიმა და გაშორდა. გზაში ერთხანს იმის წარმოდგენას ცდილობდა, ეს სქელი დეიდა ახალგაზრდობაში როგორი იქნებოდაო, მერე ქუჩა გადაჭრა და ჩრდილის მხარეს დაუყვა ტროტუარს. გამვლელები თვალს აყოლებდნენ და სიამოვნებდა. მედქალაქთან ორი ბიჭი აეკიდა. უკან მიჰყვებოდნენ და მის გასაგონად ერთმანეთში საუბრობდნენ:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— რა გოგოა, ბიჭო!

— აბა!

მანანას ეღიმებოდა და მუტიჩრულად მიიქნევდა ხელჩანთას. მერე იეშმაკა და, ვითომ შემთხვევით, უკან მიაბრუნა თავი. ბიჭებმა არაწმინდად გაიხედეს გვერდზე და მაშინვე მიხვდა: ლაწირაკებთან ჰქონდა საქმე.

„კაცი რომ თვალს ვერ გაგისწორებს... — გაიფიქრა და გზა განაგრძო, — თუმცა ჯერ პატარები არიან, მაგრამ რომ გაიზრდებიან, ალბათ დიდი ლაწირაკები იქნებიან“.

ბიჭები ისევ მიჰყვებოდნენ შორიახლო და ერთმანეთში საუბარს განაგრძობდნენ. მანანას მობრუნება და ენის გამოყოფა მოუნდა, მაგრამ თავი შეიკავა — არც ამის ღირსი არიანო. მერე გასტრონომში შეუხვია. ტკბილეულების თაროები შეათვალიერა და შოკოლადი იყიდა. გამყიდველი ქაღალდში უხვევდა, მაგრამ არ დაანება — ჩანთა გახსნა და შიგ ჩაყარა. გარეთ რომ გამოვიდა, ის ლაწირაკი ბიჭები არსად ჩანდნენ. ასეც იცოდა. ასეთები უფრო საშიშნი არიან, თუ უადგილო ადგილას მოგიხელთეს, ან გამტყვრალებს თუ გადაეყარე...

ჯერ ისევ ფეხით მიდიოდა. მერე ქუჩა გადაჭრა და ავტობუსში ავიდა. ავტობუსში ბევრი ხალხი არ იყო, მაგრამ ვინც იყო, ყველამ თვალი გააყოლა. მანანას ყურადღება არავისთვის მიუქცევია, სულ წინ გავიდა და თავისუფალ სკამზე დაჯდა.

უცებ რაღაც ძალამ გვერდზე მიახედა. ჯერ ჯიქურად გამომზირალი თვალები დაინახა, მერე ბიჭიც... სუნთქვა შეეკრა. თვალი აარიდა და ფანჯარაში გაიხედა. მერე მაინც გააპარა მალულად მზერა. ბიჭი დაჟინებით უყურებდა. თავი დახარა და ლოყებზე სიმხურვალე წაეკიდა. მოუსვენრად აწვალებდა ხელში ჩანთას. დროდადრო კვლავ მიხედავდა—ამას იმ ბიჭის მზერა აიძულებდა, და მერე ისევ ჩაღუნავდა თავს.

ავტობუსი ნელა მისრიალებდა ლამაზად გაჭიმულ პროსპექტზე. გაჩერებებზე მგზავრები ჩადიოდნენ და ამოდიოდნენ. მანანა ახლა იმ ბიჭისკენ აღარ იხედებოდა, მაგრამ გრძნობდა—იქვე რომ იჯდა.

„ღმერთო, — ფიქრობდა, — რა მეშველება?“

წამით ისევ შეავლო თვალი: ხმელი, შავგვრემანი ბიჭი იყო და ნაცნობი გამჭოლი მზერა ჰქონდა.

„საწყალი მანანა, — ამბობდა გულში, — საწყალი პატარა მანანა“.

ამ დროს ავტობუსი გაჩერდა და წინიდან ახალგაზრდა, სანდომიანი ქალი ამოვიდა, თან სამიოდე წლის ცისფერთვალა გოგონაც ამოიყვანა. ქალს ერთბაშად არ მიუპყრია მგზავრების ყურადღება. იგი წყნარად დაჯდა მანანას გვერდით თავისუფალ სკამზე და ბავშვი წინ დაიყენა. ცოტა ხნის შემდეგ ხელჩანთა გახსნა. იქიდან ჯერ გაზეთი ამოიღო და მუხლებზე დაიფარა, მერე ბილეთის ასაღებად ხურდა მოძებნა. კონდუქტორისთვის უნდოდა გადაეწოდებინა, მაგრამ გოგონამ არ დაანება:

— მე... მე!

— რა გინდა, დედა?

— მე ავიღებ.

ავტობუსში სიხალვათე იყო და ქალმა ნება დართო.

გოგონამ ხელუკულმა გადიწია შუბლზე ჩამოწეწილი ქერა თმა და კონდუქტორისკენ გაემართა. ხელს სკამის სახელურს კი არ ჰკიდებდა, მგზავრებს ეჭიდებოდა და ისე მიდიოდა. კონდუქტორი მოეფერა და ბილეთი მისცა. გოგონამ ბილეთები მომუჭა და უკან წამოვიდა. ხელს ისევ მგზავრებს ჰკიდებდა... ბავშვმა თითქოს ქვეშეცნეულად იგრძნო, რომ მგზავრებს წეღან ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევიათ მისი ყველაზე ლამაზი დედიკოსათვის და ახლა თოთო თითებით ცდილობდა ყველასთვის სათითაოდ ჩამოერიგებინა ამ ფარული სილამაზის საიდუმლო... ქალი უკან იხედებოდა და მგზავრებს თბილად უღიმოდა. გოგონამ ბილეთები მიუტანა და გაუწოდა.

— არ მინდა, შენ გქონდეს, დედიკო.

— არ გინდა და ნუკი, — უთხრა გოგონამ. მერე წინა სკამზე წამოსკუპდა ერთი თეთრწვერა მოხუცის გვერდით, დედას მუხლებიდან გაზეთი ააცალა და თვალებზე აიფარა.

— რას შვები, დედა?

— ვკითხულობ, — სერიოზულად თქვა გოგონამ.

— რას კითხულობ, ბაბუ? — გაეღიმა მოხუცს.

— აი, ამას, — ვარდისფერი თითი დაადო გაზეთს გოგონამ.

— რამდენი წლისა ხარ?

გოგონამ სამი თითი გაშალა, მეოთხე მოკაკვა და უჩვენა.

— ეგ რამდენია?

— სამწლინახევრისაა, — უთხრა მოხუცს ქალმა და თავისი განუმეორებელი თბილი ღიმილით გაუღიმა.

— ოჰო! სახელი რა გქვია, გოგონა?

— ელისო.

— კითხვა იცი?

— კი.

— აბა, წამიკითხე.

გოგონამ გაზეთი მუხლებზე დაიფინა და გაიღიმა. მერე მოხუცს გაუწოდა და უთხრა:

— არა, შენ წაიკითხე!

მოხუცმა გაზეთი გამოართვა და „წაიკითხა“:

— ელისო კარგი გოგოა, ჭკვიანი გოგონაა. დედიკოს ეხმარება და ავტობუსში ბილეთს უღებს.

—ტყუილია, — თქვა ელისომ და მოხუცს დაეჭვებით შეხედა, — ეგ მანდ არ წერია.

მანანა სიყვარულით უყურებდა გოგონას. მერე მგზავრებს გადახედა. ყველანი აქეთ იყურებოდნენ, ოღონდ ახლა მას კი არა, იმ სანდომიან ქალს და გოგონას უყურებდნენ. ქალს ახლა რაღაცნაირი შუქი მოჰფენოდა სახეზე და ძალიან ლამაზი ჩანდა. მანანამ ბიჭისკენ გააპარა მზერა... ის ბიჭიც ბავშვს და ქალს უყურებდა და იღიმებოდა. თვალებში ახლა მანანასათვის უცხო კაცური სითბო ჩასდგომოდა...

გოგონა ტიტინებდა და ტიტინებდა. მანანამ ისევ გახედა ბიჭს, მერე ისევ. ბიჭმა ამ დაჟინებულ მზერას უპასუხა, ოღონდ ის უცხო კაცური სითბო აღარ მოშორებია.

ამასობაში ავტობუსმა ლენინის ქუჩა აიარა და ვერის მოედანზე მოუხვია. მანანამ ქალს შეხედა. ის ნათელი, წეღან სახეზე რომ დასთამაშებდა, ახლა მთელ ავტობუსს მოსდებოდა და თავის შუქში გაეხვია... ჯერ გული დაწყდა, მერე იუკადრისა. მუდამ ყურადღებით განებივრებული გოგოსთვის ეს მართლაც მეტისმეტი იყო.

წამოდგა. ისევ დაიჭირა ბიჭის მზერა, ოღონდ ახლა რანაირად უყურებდა, ეს ველარ გაარკვია.

„თუ ჩამომყვა... თუ-არა და...“

ავტობუსი რუსთაველის მოედანთან გაჩერდა. მანანა ნელა ჩაუყვა საფეხურებს. მერე ჩავიდა, უკან აღარ მოუხედავს. ასევე ნელა დაუყვა ტროტუარს. ყოველ წუთს მოელოდა მკლავზე შეხებას და ხელები იდაყვებში მოეხარა...

ავტობუსი დაიძრა. მანანამ უკან მიიხედა. არა... იქ არავინ იყო უცნობი ხალხის გარდა და უცებ მტკივნეულად შეუთრთოლდა გულში რაღაც.

რა იყო ეს? საიდან გაჩნდა ეს გრძნობა, ასე რომ გამსჭვალა და ააფორიაქა? ან რა მოხდა ასეთი?

მთვარეულივით მიჰყვებოდა პროსპექტს. გონებიდან არ სცილდებოდა იმ ბიჭის თვალებში ჩაღვრილი უჩვეულო მამაკაცური სითბო და ფიქრებს ერთადერთი, გაუვალი ჩიხისკენ მიერეკებოდა; მერე ქალის სახეზე გადაფენილი ნათელიც დაუდგა თვალწინ, პატარა გოგონას საყვარელი ტიკტიკიც: „არ გინდა და ნუკი!“

— რას შვები, დედიკო? — გახმაურდა სადღაც, ცნობიერების რომელიღაც კუნჭულში.

— ვკითხულობ, დედიკო.

— რას, დედა?

— გაჩერდი, დედა.

— ნუ შეაწუხე ბაბუა, დედა.

— დედა!

რატომღაც თვალის გუგებთან გაჩენილი წვრილ-წვრილი ნაოჭები გაახსენდა და გულმა გაბზარულად დარეკა...

მერე ვერაფრით ვერ გაიხსენა, რატომ ჩავიდა მეტროში და ან ახლა საით მიჰყვებოდა მატარებელს. წამოდგა და ჩამოსვლა დააპირა. რატომღაც ესეც გადაიფიქრა და ბოლო გაჩერებაზე გად-

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოვიდა. ალბათ ვილაცეები უთვალთვალებდნენ, რადგან ექსკალატორს ამოსცილდა თუ არა, ორი ბიჭი დაუდგა წინ. მანანამ მიიხედ-მოიხედა: სამასი არაგველის მეტროს სადგურთან იდგა.

— რატომ ხართ მოწყენილი? — ჰკითხა ერთმა ბიჭმა.

მანანას არც შეუხედავს, ისე იბრუნა პირი.

— ცუდად ხომ არ ხართ? — ეს მეორე ბიჭის ხმა იყო, — ხომ არაფერი შეგემთხვათ?

მანანა უნებურად მიენდო ამ ხმას და ახედა. მის წინ საშუალო ტანის ბიჭი იდგა და თვალებში მასაც ის კაცური სითბო უკრთოდა.

— არა, არაფერი... — გაუღიმა.

— აბა რატომ ხართ მოწყენილი? — ეს ისევ იმ პირველმა ჰკითხა.

მანანამ ზურგი შეაქცია მას.

— თუ ცუდად ხართ, მანქანაში ჩაგსვამთ და შინ მიგიყვანთ,— შესთავაზა მეორემ.

— არა, გმადლობთ... ახლა უკეთ ვარ.

— არ მოგერიდოთ.

— გმადლობთ, ნახვამდის!

— ნახვამდის! — გაუღიმა ბიჭმა და გაშორდა. პირველი ერთხანს ისევ ტრიალებდა მის წინ, მაგრამ ამხანაგმა დაუძახა და ძალით წაიყვანა.

მანანამ შვებით ამოისუნთქა და პირველად თავის სიცოცხლეში იგრძნო, რომ მობეზრდა... საოცრად, საოცრად მობეზრდა... გული ამოუჯდა. ცოტა გაწყდა, ლამის თავი შეირცხვინა და შუა ქუჩაში უასაკო გოგონასავით ასლუკუნდა.

მერე რატომღაც თავის პატარა მზის ნათელი გაახსენდა და გულზე თბილმა ტალღამ გადაუარა. მანქანა გააჩერა და შინისკენ გასწია. სალამოსპირი იყო და გზაში ნატრობდა: „ნეტა ცოტა ხანს კიდევ არ ჩავიდოდეს მზე...“

ძალიან, ძალიან უნდოდა შინ ეულად დარჩენილი მზის ნათლისთვის მიესწრო.


სოფიო მორჩილაძე გაკვეთილზე

# ორი დირექტორი

ოთახში ორნი ვსხედვართ, მე და სოფიო მორჩილაძე — ჭაღარათმიანი ქალი.

მაგიდაზე აწყვია გაყვითლებული, ჟამგამოვლილი წერილები, ცნობები, პირადობის მოწმობები.

აი ერთი მათგანი: „1933 წლის 23 ივნისი. მორჩილაძე სოფიო დავითის ასული 1932 წლიდან არის კოლმეურნეობის ახალგაზრდული სკოლის მასწავლებელი, მასთან ერთად არის ბრიგადის კულტმუშაკი, ჩაბმულია საბჭოს სადეპუტატო ჯგუფსა და საბჭოს სექციებში. პარტუჯრედში პოლიტწრეს ხელმძღვანელობს. სარგებლობს ავტორიტეტით. საწარმოო დავალებას ასრულებს 105 პროცენტით“.

სოფიომ ამავე წელს დამკვრელი მასწავლებლის სახელი დაიმსახურა. მალე იგი კომკავშირელი გახდა. თანატოლებთან ერთად სოფლის კომუნისტებს ამოუდგა მხარში და საკოლმეურნეო ცხოვრებას ჩაუყარა საფუძველი, აქტიური მონაწილეობა მიიღო წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაში.

გავიდა წლები. სოფიო თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ თბილისის 32-ე საშუალო სკოლაში დაიწყო მუშაობა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. ახალბედა მასწავლებელს სკოლაში დიდი ნდობა გამოუცხადეს — პარტორგანიზაციის მდივნად აირჩიეს.

მალე იგი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პროპაგანდისტთა გადასამზადებელ კურსებზე გაგზავნეს. აქაც გამოიჩინა თავი და მაშინ, როდესაც სწავლა უნდა დაემთავრებინა, ომიც დაიწყო.

ორი დღის შემდეგ ჯარისკაცის ფარაჯით ეწვია სოფიო ამიერკავკასიის საჰაერო დაზვერვის, გამოცნობისა და კავშირის მეხუთე პოლკს.

პოლკში პარტორგანიზაციის მდივნად აირჩიეს.

საინტერესოდ წარიმართა პოლიტხელი ქალიშვილის ცხოვრება. ჯერ იყო და სპეციალური დავალებით უკუნეთ ღამეში მარტოდმარტო გავიდა ნაწილიდან, დიდი წვალების შემდეგ დანიშნულების ადგილს მიაღწია, დავალება შეასრულა და უკან დაბრუნებისას საიდუმლო პაკეტიც წამოიღო. გზაში მძღოლი და ჯარისკაცები მოუკლეს. თავად მიუჯდა საჭეს, დაზიანებული მანქანა საკმაოდ დიდ მანძილზე ატარა და პაკეტი ადგილზე მიიტანა. ქალიშვილის ეს მამაცობა მთავრობის ჯილდოთი აღინიშნა.

კვლავ სპეციალური დავალება. გაფრენა, ხანძარი ჰაერში, დაჭრობა, ჰოსპიტალში მკურნალობა.

ომი რომ დამთავრდა, მშობლიურ თბილისს დაუბრუნდა უფროსი ლეიტენანტი, პოლიტხელი სოფიო მორჩილაძე და ქალთა მე-19 საშუალო სკოლას ჩაუდგა სათავეში.

1950 წელს სოფიო რკინიგზის მეორე საშუალო სკოლის დირექტორად გადაიყვანეს. 13 წელი დაჰყო აქ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავზე რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება მიენიჭა. მოგვიანებით კი საუკეთესო ადმინისტრატორის სამკერდე ნიშნით დააჯილდოეს.

დღეს იგი მე-10 საშუალო სკოლას ხელმძღვანელობს. ამას წინათ „ნაროდნოე ობრაზოვანიე“ წერდა: „საქართველოს სკოლებსა და განათლების ორგანოებში არც ისე იშვიათად შეხვდებით ძველი თაობის მასწავლებელთა წარმომადგენლებს, რომლებმაც პედაგოგიური მოღვაწეობა ძველ სკოლაში დაიწყეს, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე აქტიურად ჩაებნენ ახალი სკოლის მშენებლობაში, აღზარდეს მასწავლებელთა მრავალი თაობა და, ხანდაზმულობის მიუხედავად, ახლაც ხალისით ეხმარებიან მათ, როგორც ესტაფეტას, ისე გადასცემენ თავიანთ პედაგოგიურ სიბრძნეს“.

ჟურნალი ასეთი თაობის ღირსეულ წარმომადგენელთა შორის სოფიო მორჩილაძესაც ასახელებს.

სოფიომ იცის, თუ რა რთულია პედაგოგის შრომა, გონებრივი ძალების რა დაძაბვას მოითხოვს იგი. და ამიტომაც გულმხურვალედ ეხმარება ახალგაზრდა მასწავლებლებს.

სანამ გამოვეთხოვებოდი კეთილ მასპინძელს, ერთხელ კიდევ მოვავლე თვალი ბინას, ოჯახის წევრებს.

ლამაზი ქართული ოჯახი აქვს სოფიოს. დიდ სასამულო ომში ერთ პოლკში იბრძოდნენ უფროსი ლეიტენანტი სოფიო მორჩილაძე და უმცროსი ლეიტენანტი იპოლიტე ბერიძე. მაშინ ვერც კი წარმოიდგენდნენ, თუ ერთად შექმნიდნენ ოჯახს და ორი სკოლის დირექტორი ერთ ჭერქვეშ „მშვიდობიანად“ იცხოვრებდა.

დემობილიზაციისთანავე სოფიომ და იპოლიტემ სამუდამოდ დაუკავშირეს თავიანთი ცხოვრება ერთმანეთს. ორივემ ერთდროულად გაიხადა სამხედრო ფორმა და ერთად შეაღეს სკოლის კარები, ერთად ჩადგნენ მომავალი თაობის აღზრდის კეთილშობილური საქმის სამსახურში.

თბილისის მე-10 და 118-ე სკოლები დღეს ერთმანეთს ეჯიბრებიან. დირექტორების დისკუსიებს ბოლო არ უჩანს. როგორც კი შინ ბრუნდებიან, ცოლ-ქმარს შორის მშვიდობიანობა მყარდება და საოჯახო საქმესაც კოლექტიურად აკეთებენ. მერე საათობით უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას, სახავენ მომავლის გეგმებს.

ცხოვრობს ორი სკოლის ორი დირექტორი ერთ ჭერქვეშ და სიყვარულით შესციცინებენ შვილებს — ლიასა და ნანას. მართლაც, რომ საამაყო ქალიშვილები ჰყავთ. უფროსი ქალიშვილი — ლია მშობლების კვალს გაჰყოლია, უნივერსიტეტში სწავლობს დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, უმცროსი ქალიშვილი ნანა თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტია.

უყურებ ქალიშვილებს და გჯერა, რომ თაობათა ესტაფეტა საიმედო ხელშია.

მ. ჩორგოლაშვილი



ომისდროინდელი ფოტო

ფოთოლა ჩიმაკაძე

## მომყავს ჩემი ბებიაც

უკან დარჩა ქობულეთი,
მზე და ცხელი ივლისი,
დაგ-დუგ, დაგ-დუგ, გავცდით მცხეთას,
და გამოჩნდა თბილისი.

ჰოი, როგორ მომენატრა
დედა, მამა, ტოლები...
ჩავიარეთ დიდუბე და
თბილისშიაც მოვედით.

ნაირფერი ნათურები
ქუჩებს მძივად შებმია,
მარტო ხომ არ დავტოვებდი? —
მომყავს ჩემი ბებიაც!

ლამარა რუსიშვილი

## მგელი ფარეხთან

მ გ ე ლ ი — კაკ, კუკ, ვინა ხართ მღვიძარი?
ც ხ ვ ა რ ი — ბაკ, ბუკ, კარებთან ვინ არი?
მ გ ე ლ ი — ოქროს ხურჯინით მოვდივარ,
მე რუხი მგელი როდი ვარ,
მინდვრიდან გამოვირეკე,
ბოჩოლები და კრავები.
მსურს ფარა გაგიძლიეროთ,
აბა! გამიღეთ კარები.
ც ხ ვ ა რ ი — გიცნობთ დათაფლულ
სიტყვებზე,
კარს ვერ გაგიღებთ, ბატონო,
რქები ალესეს ყოჩებმა,
გიჯობს ფარეხი დატოვო.

## გუგული და შაშვი

(იგავი)

შაშვმა ბუდე გაიკეთა, კვერცხები დადო და გამოჩეკას აპირებდა. ერთ საღამოს, ბუდეში რომ დაბრუნდა, ზედმეტი კვერცხი დახვდა. მიხვდა, გუგულის კვერცხი იყო, რადგან კარგად იცოდა მისი ცუდი ჩვეულება. გაიფიქრა: გამოვჩეკავ, შევახვედრებ, და როგორ არ შეეცოდება, როგორ არ გაზრდისო?

შაშვმა გამოჩეკა ბარტყები, ნახა გუგული და უთხრა:— შენი შვილი კარგია, კარგად ჭამს, წაიყვანე, გაზარდე, რაც ამაგი დავდე, ალალი იყოსო!

— მე არც გამიზრდია შვილი და ვერც გავზრდიო, — უპასუხა გუგულმა. შაშვს შეეცოდა გუგულის შვილი და გაზრდაც იკისრა. ბარტყი რომ წამოიზარდა, შეეკითხა: ყველა შვილი შენა გგავს, მე კი — არა, ნეტავ რატომაო?

შაშვმა ყველაფერი უამბო.

გუგულს შეჯავრდა დედა და გამზრდელ შაშვს უთხრა: ისეთ დედას ზედაც არ შევხედავ, შენი პატივისმცემელი კი მუდამ დავრჩებიო.

ზოგ დედას დედინაცვალი ჯობია. შვილის გაჩენა კი არაა მთავარი, არამედ მისი გაზრდა.

ვლადიმერ გოგიბერიძე



# პარტიზანი ქალი

ცაცხვები და კედრები შრიალებენ ბექობზე. ბელურები ჟივილ-ხივილით ხტებიან ტოტიდან-ტოტზე. საშემოდგომო ქალი მოკლე ნაბიჯებით დადის ხეთა ჩრდილებში. ხანდახან ჭყუფ-ჭყუფად თავშეყრილ ახალგაზრდებს გახედავს და გული ხალისით ევსება.

ზეიმია დღეს ჩოხატაურის რაიონის გორაბერეჟოულის ჭიჭიკო ბენდელიანის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში,— გამოსაშვები საღამო იმართება. ოცდაორი წელიწადია, ქეთევან კაკურია ტექნიკუმში ასწავლის და დღეს ოცდამეორეჯერ უნდა გადააფრინოს ბარტყები თავისი უბიდან. „მერე ვინ იცის, როგორ დატრიალდება თითოეული მათგანის ცხოვრების ჩარხი“, ფიქრობს ქალი. ფიქრს ბიჭების სიმღერა აწყვეტინებს:

თბილისს მოვიდა ამბავი,
დაიწვა გული მზიანი,
ვარსკვლავებს მოსწყდა ვარსკვლავი,—
ჭიჭიკო ბენდელიანი.
ატირდა დედა მშობელი...

რაღაცნაირი მოგუდული, ნაღვლიანი ხმით უმღერიან ბიჭები იმ ვაჟკაცს, რომელმაც თავი დასდო სამშობლოსათვის, მათი ბედნიერებისათვის, რომელიც ამ ტექნიკუმიდან გადაფრინდა და შუაგზაზე შემოაღამდა.

ქალს გააჟრჟოლა. უსიამოდ შეჰკრა წარბები, შუბლზე ისე ჭიუტად გადაისვა ხელი, თითქოს უსიამოვნო ფიქრები უნდა მოიცილოსო. და მაინც...

...იმ დღეს ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის კიბეებიდან სიცილ-კისკისით დაეშვნენ ჭრელკაბიანი ქალიშვილები და ზღვას მიაშურეს. ზღვა კრიალა იყო და გამჭვირვალე. გოგონები ზღვაში კენჭებს ისროდნენ და მზეს შესცინოდნენ. უცბად ზღვა აბობოქრდა. ვიღაცამ იყვირა, ვიღაც გაიქცა.

ომი! — გაისმა ხალხში და აირია ყველაფერი. ყველა სადღაც გარბოდა დაფეთებული, ყველა სადღაც მიიჩქაროდა. ქეთევანი ჩოხატაურში, მშობლიურ სახლში, დაბრუნდა, სულ მალე ფარაჯა ჩაიცვა და სამშობლოს დასაცავად შაშხანით ხელში ომის გზებს გაუყვა.

...განუწყვეტლივ გრიალებს ზარბაზნები, სკდება ნაღმები, ქეთევანი წარბშეუხრელი ზის სათვალთვალო პუნქტში, თვალს არ აცილებს ცის ტატნობს. უა ეთერში გაისმის:

— მე თოლია ვარ, მე თოლია ვარ. გვიახლოვდება ფაშისტების თვითმფრინავები; სიმაღლე 600 მეტრი! ცეცხლის ენები ლოკავენ ცას და მტერი კუდამოძუებული მიფრინავს უკან.

ქეთევანი სიხარულს ვერ ფარავს და მუშტებით ემუქრება გერმანელებს.

როცა ფაშისტები კავკასიის მისადგომებიდან უკუიქციეს, ეშელონი როსტოვისკენ გაუდგა გზას. როსტოვში ქალიშვილებმა თვითონ გათხარეს მიწურები, თვითონ მოაწყვეს მზვერავ-სათვალთვალო პუნქტები. ოთხი თვე უთვალთვალებდნენ აქ მტრის თვითმფრინავებს და გასაქანს არ აძლევდნენ მათ: კლავდია გვალია, თეო კეშელავა, ქენია ოდილავაძე, ნინო სურგულაძე, ქეთო კაკურია და ტატიანა. ტატიანას გვარი რატომღაც არ აგონდება ქეთევანს. შეიძლება კიდეც ახსოვს, მაგრამ არ უნდა გაამხილოს. იქნებ ქალიშვილს დედა დღესაც ელოდება და ყველა ფრონტელს ეკითხება,— „ჩემი ტატიანა, ხომ არსად შეგხვედრიათ“.

დაე, იმედი ნუ გადაუწყდება დედას!

...იმ ბედუკუღმართ დღეს ეშელონი ბელორუსიისკენ მიდიოდა. თითქოს ცამ პირი მოხსნა, წვიმდა გადაუღებლივ. დამძიმდა ფარაჯა, ზურგჩანთა. წვიმაში ამოლუმპული გოგონები ძლივს მილასლასებდნენ.

ტატიანამ ქეთოს უჩურჩულა:

— დავიღალე, გოგო! გზას გადავუხვევ, ცოტას ჩავიმუხლებ და ისევ დაგეწევითო.

ის იყო გზის ხაზს რამდენიმე ნაბიჯით გასცდა ტატიანა, რომ ნაღმის აფეთქების ხმამ მიწა შესძრა და ტატიანას ნაკუწნაკუწად ქცეული სხეული ჰაერში მიმოიფანტა. ქალებმა იქვე გათხარეს საფლავი. შურისძიების ცეცხლით ანთებულებმა უცრემლოდ დაიტირეს მეგობარი...

ეშელონმა ბელორუსიიდან ლატვიამდე ფეხდაფეხ მისდია მტერს. შემდეგ ისინი დასავლეთ დვინაზე, დაუგავაში დაბანაკდნენ. წარამარა ცვივა ყუმბარები. ყუმბარების ზათქის ხმა ქალებისა და ბავშვების კივილის ხმას ახშობს. აყირავებული სახლებიდან ილაკნებიან კვამლის შავი ბოლქვები. ქეთევანს ყელი უშრება, თვალები ეწვის, მაგრამ მაინც ვაჟკაცურად დგას სადარაჯოზე...

ღამის პირველ საათზე გამოიცვალა ქეთევანი მორიგეობიდან. მიწურში, მოლიცლიცე სანთლის შუქზე, მკვდრებივით ეძინათ გოგონებს. ქეთო ჩაცმული წამოწვა, მაგრამ ძალი არ მიეკარა. ამდენი მეხისტეხის შემდეგ საოცარი სიჩუმე იდგა გარეთ და ქეთოს ეს რატომღაც ავის მომასწავებლად ეჩვენა. დაღლილობამ მაინც თავისი გაიტანა. ის იყო ჩასთვლიმა, რომ ბრახუნმა და შეკივლებამ ფეხზე წამოაგდო. მიწურში ფაშისტები შემოიჭრნენ. ძუ ვეფხვივით ეძგერნენ ქალიშვილები მოძალადეებს. გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლა. ქეთოს მარცხენა მკლავში ჩაარტყეს დანა. ქალი მაინც არ შედრკა. ლუსია აპრეკინამ როგორღაც მოახერხა მიწურიდან გაძრომა. რამდენიმე წუთში საბჭოთა მებრძოლები გაჩნდნენ მიწურთან და ფაშისტები შეიპყრეს.

...1945 წლის გაზაფხულმა ქეთევანს ჰოსპიტალში მოუსწრო. გამარჯვების სალუტმა გაანათა ჰოსპიტლის ფანჯრები.

...ქეთევანს ვიღაცის ხმამ ფიქრის ძაფი გაუწყვიტა. აიხედა, მის წინ მოკრძალებით იდგა შელერებული ყმაწვილი.

— პატივცემულო მასწავლებელო, საღამო იწყება,— უთხრა მან მორიდებით.

ქეთევანმა ჯერ დაბნეულად შეხედა ვაჟს, მერე ხელი აიქნია, მძიმე ფიქრები მოიცილა და მთელი სახით გაიღიმა.

დღეს ქეთევანი თავის აღზრდილებს გააცილებს, გზას დაულოცავს მათ. მერე სექტემბერში ისევ მოვა ახალი ნაკადი და ქეთოს კვლავ ახალი საზრუნავი და საფიქრალი გაუჩნდება.

ოლია დადიანი





# 80 ზაფხული

ჩვენს ქვეყანაში ბავშვები განსაკუთრებული ყურადღებით და სიყვარულით არიან გარემოცულნი. მათი სწავლა-აღზრდისათვის ათასობით მაღალკვალიფიციური პედაგოგი იღწვის. თანდათანობით იზრდება საბავშვო დაწესებულებათა რიცხვი.

შარშან საქართველოში 23 ბაგა-ბაღი აშენდა 5.120 ადგილით.

დიდი ხანი არ არის, რაც თბილისში, ვაკის პარკის ტერიტორიაზე, გაიხსნა ექსპერიმენტული ბაგა-ბაღი. იგი პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე არსებობს. ბაგა-ბაღში თავმოყრილი მასალები ფართოდ ასახავენ აღმზრდელთა საქმიანობას.

ყველა იმ პედაგოგიურ სამუშაოს, რომელსაც ბაგა-ბაღის მასწავლებლები ატარებენ, დიდი შემეცნებით და აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. პედაგოგების — ნინო სანებლიძის, თამარ ბუაძის, დოდო მალანიასა და სხვათა მოხსენებები ბევრჯერ წარადგინეს საკავშირო გამოფენაზე, გამოაქვეყნეს სამეცნიერო ჟურნალ-გაზეთებმა.

ამ ბაგა-ბაღის პედაგოგთა გამოცდილების გასაზიარებლად საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოდიან კოლეგები.

კარგ შთაბეჭდილებას ახდენს ბაგა-ბაღის შენობის სადა არქიტექტურა, ინტერიერი. ულრესად პრაქტიკული და მოხერხებულია დარბაზების, კაბინეტებისა და ოთახების განლაგება. აქ, ვაკის პარკის სიმყუდროვეში, სუფთა ჰაერზე ბავშვებისათვის მოწყობილია ათასგვარი გასართობი, ლამაზი გაზონები. ხეების ჩრდილში ნორჩებს შეუძლიათ ითამაშონ, დაისვენონ, შეიგრძნონ ბუნების მთელი მომხიბლაობა.

ბაგა-ბაღის საქმიანობას უნარიანად უძღვება გამოცდილი პედაგოგი ნინო სანებლიძე.

ნორჩებისათვის აქედან იწყება სამყაროს პირველი სერიოზული აღქმა. მუსიკის, ლედაენის, არითმეტიკის, მეტყველების კანონების, ჩვენი ქვეყნის ისტორიის, გეოგრაფიის შეცნობა. აქ ეყრება საფუძველი ბავშვურ წარმოდგენებს მორალზე, ესთეტიკაზე, ყალიბდება ნორჩების ფაქიზი სული, ხასიათი.

უფროსი ჯგუფის გამოსაშვებ ზეიმზე მასწავლებელმა თამარ ბუაძემ ნორჩების პირველი სერიოზული გამოცდა — ჩაატარა. გოგონები და ბიჭუნები კითხულობდნენ ლექსებს საქართველოზე, დედაზე. ბავშვებმა უკვე იციან, რომ სამშობლო ერთია და ისევე ძვირფასი, როგორც დედა... წარმოდგენა აქვთ მათემატიკაზე, ფერწერაზე, ჩინებულად მღერიან, ცეკვავენ. ხელმარჯვე ოსტატების ნაძერწი, ნახატი, ქედურობა ამშვენებს დარბაზის კედლებს. ბიოლოგიურ კუთხეშია აკვარიუმი, ჩიტების გალიები, ბავშვების ხელით გაზარებული ოთახის მცენარეები. ჩანს, რომ პატარებს არა მარტო სათამაშოები იტაცებთ, არამედ უფრო სერიოზული საქმიანობაც.

ბაგა-ბაღის ბიბლიოთეკაში ათასამდე წიგნია. აქვთ აგრეთვე გამოჩენილ ფერმწერთა ნამუშევრები.

დიდი პუნქტუალობით სრულდება დღის რეჟიმი. პატარები ეჩვევიან დისციპლინას, დროის მაქსიმალურად გამოყენებას. სისტემატურად მოწმდება აღსაზრდელთა ჯანმრთელობა, ჰიგიენა. ბაგა-ბაღში არის ჩინებული კბილის სამკურნალო კაბინეტი და კვარცის დასასხივებელი აპარატი. დიდი ყურადღება ექცევა ბავშვების კვებას. ბავშვები დღისით იძინებენ. ბაგა-ბაღის პედაგოგიურ კოლექტივსა და მშობლებს შორის მუდმივი კონტაქტი არსებობს. მშობლებისათვის ტარდება კონსულტაციები, იმართება კრებები, კარგად მუშაობს მშობელთა კომიტეტი. მშობელთათვის გამოყოფილია სპეციალური ლიტერატურა, რომელიც ეხმარება მათ ბავშვების აღზრდაში.

წელს თბილისის ექსპერიმენტული ბაგა-ბაღიდან სკოლებში 80 ბავშვი წავიდა. მათთან წაიღეს აღმზრდელთა გულის სითბო და მომავალი ცოდნის საფუძველი.

ნ. ჯაფარიძე





ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსთაველის დღე — პოეზიის დღე

## ბერტა ფონ სუტნერი (კინსკი)

(1843-1914)

მწერალი და საზოგადო მოღვაწე, მსოფლიოში გახმაურებული რომანის — „ძირს იარაღის“ ავტორი, მშვიდობის საერთაშორისო მოძრაობის აქტიური მონაწილე, ნობელის პრემიის ლაურეატი, ერთ ხანს მშვიდობის ავსტრიის საზოგადოების თავმჯდომარე და ჟურნალ „ფრიდენს ვერტის“ რედაქტორი.

დაიბადა პრაღაში. მამა ავსტრიის ჯარების სარდალი იყო, დედა — ცნობილი პოეტისა და მეომრის ტეოდორ კერნერის ნათესავი, პაპა — მეფის სასახლის მოხელე.

ბერტა თავის მეუღლესთან არტურ სუტნერთან ერთად 1876 წელს ჩამოვიდა და 10 წელი დაჰყო საქართველოში, აქედან ხუთი წელი — ზუგდიდში, სადაც არტური სადადიანოს მამულების მმართველი იყო, ბერტა — ფრანგული და გერმანული ენების მასწავლებელი.

ამ პერიოდში სუტნერები რედაქციას უკეთებდნენ „ვეფხისტყაოსნის“ იონა მეუნარგიასეულ თარგმანს და ერთდროულად თარგმნიდნენ პოემას გერმანულ ენაზე.

1882 წელს, ეკატერინე ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდეგ, სუტნერები თბილისში გადმოვიდნენ. ცხოვრობდნენ სამოსწავლოს შესახვევში (უშანგი ჩხეიძის ქუჩა).

მათ მრავალი ნარკვევი, მოთხრობა, ეტიუდი დაბეჭდეს პრაღის ჟურნალ „პრესსეში“, ხოლო 1909 წელს დაისტამბა ბერტა სუტნერის ვრცელი თავგადასავალი, რომლითაც მწერალმა ევროპას გააცნო საქართველოს ცხოვრება, მისი კულტურა, მწერლობა...

1914 წლის 14 სექტემბრისათვის დანიშნული იყო პაციფისტური ორგანიზაციის XXI საერთაშორისო კონგრესი, რომელიც ვენაში უნდა ჩატარებულიყო. ამ კონგრესის რეზოლუციის პროექტი ბერტამ შეადგინა. მაგრამ კონგრესს პირველმა მსოფლიო ომმა დაასწრო, ხოლო ომის დაწყების წინ, 1914 წლის 21 ივნისს ბერტა ფონ სუტნერი გარდაიცვალა. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: „ძირს იარაღი!.. უთხარით ყველას, ყველას...“

## მარჯორი სკოტ-უორდროპი

ინგლისელი დიპლომატის ოლივერ უორდროპის და, საქართველოს ხშირი სტუმარი, მისი კულტურისა და მწერლობის დიდი მოტრფიალე და მეგობარი.

მარჯორი უორდროპმა ილია ჭავჭავაძის კონსულტაციით და დახმარებით ინგლისურად თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“. რუსთაველის უკვდავი პოემის უორდროპისეულ პროზაულ თარგმანს, რომელიც 1912 წელს ლონდონში დაიბეჭდა, მკითხველი დიდი მოწონებით შეხვდა.

## ელისაბედ ერეკლეს ასული ორბელიანი

უმაღლესი განათლება მიიღო საფრანგეთში, სორბონის უნივერსიტეტში. იგი პირველი პროფესორი ლექტორი ქალი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა — მუშაობდა უნივერსიტეტის დაარსების პირველი წლიდანვე, კითხულობდა ლექციებს ფრანგულ, ინგლისურ და იტალიურ ენებში.

„ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულ ენაზე თარგმნა ე. ორბელიანმა დაიწყო 1935 წელს. თარგმანს მაღალი შეფასება მისცეს სპეციალისტებმა.

ელისაბედ ორბელიანმა სოლომონ იორდანიშვილთან ერთად შეასწორა, გამოტოვებული სტროფები ჩაუმატა და წინასიტყვაობა დაურთო მარჯორი უორდროპის მიერ ინგლისურად თარგმნილ „ვეფხისტყაოსანს“. თარგმანი 1938 წელს დაიბეჭდა.

ე. ორბელიანის მიერ ფრანგულად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ ამჟამად მზადდება გამოსაცემად.

## ვერა რომანი

რუმინელი მწერალი. რუსულიდან რუმინულ ენაზე პროზაულად თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც 1947 წელს გამოიცა ბუქარესტში. მანამდე რუმინულ ენაზე არ არსებობდა რუსთაველის პოემის თარგმანი.

## სოფიო ვოლნიკ-ჩაიკოვსკაია

პოლონელი პუბლიცისტი ქალი. პოლონურად თარგმნა „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე სტროფი, რომელიც გამოქვეყნდა ვარშავაში. 1937 წელს, შოთა რუსთაველის დაბადების 750 წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო კრებულში. ს. ვოლნიკ-ჩაიკოვსკაია ცხოვრობს პოლონეთში.

## ანი მარსელ-პაონი

ფრანგი მწერალი ქალი. მან ჩვენს თანამემამულე გიორგი გვაზავასთან ერთად ფრანგულ ენაზე პროზაულად თარგმნა რუსთაველის გენიალური პოემა. თარგმანი დაიბეჭდა პარიზში 1938 წელს.

## მარიამ ვიქტორის ასული პრიტვიცი (გუბერი)

(1876-1962)

მოლდაველი ლინგვისტი. იგი ფლობდა გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებს. მან ჯერ გერმანულად, ხოლო შემდეგ ფრანგულად თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ (ფრანგული თარგმანი ინახება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფონდებში).

## ვენერა ურუშაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი. რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის იუბილესათვის მან ინგლისურ ენაზე თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც 1968 წელს გამოსცა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“. თარგმანს მაღალი შეფასება მისცეს, როგორც ქართველმა, ისე ინგლისელმა სპეციალისტებმა.

## ლუცი ქურდიანი

(1908-1967)

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, ეროვნებით გერმანელი. მან ხელი მოჰკიდა „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულად თარგმნას. სამწუხაროდ, სიკვდილმა ხელი შეუშალა ჩანაფიქრის განხორციელებაში, მხოლოდ 250 სტროფის თარგმნა მოასწრო.

## თამარ აბაკელია

ცნობილმა მხატვარმა, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, აწ განსვენებულმა თამარ აბაკელიამ 1936 წელს, რუსთაველის დაბადების 750 წლისთავის საიუბილეო დღეებისათვის შექმნა „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციების ორი სერია. 18 ილუსტრაცია დაისტამბა 1937 წელს პოემის საიუბილეო გამოცემაში.

## ნათელა იანქოშვილი

საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი. შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის იუბილესათვის შექმნა პოემის 16 საინტერესო ფერადი ილუსტრაცია. ეს ილუსტრაციები პირველად გამოქვეყნდა ალბომში — „ვეფხისტყაოსნის“ დასურათება (ილუსტრაციები შესრულებული XIX-XX ს. ს.).“

## ინა დივნოგორცევა-გრიგოლია

მხატვარი. რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის იუბილეს დღეებში შექმნა „ვეფხისტყაოსნის“ 8 ილუსტრაცია, ნაწილი ილუსტრაციებისა ფერებშია შესრულებული.

## ნინო ჭეიშვილი

მხატვარი. დაიბადა და აღიზარდა უცხოეთში. 1960 წელს მან შექმნა შ. რუსთაველის პოემის ილუსტრაციები. მათგან ოთხი ილუსტრაცია დაიბეჭდა გუსტავო დე ლა ტორეს მიერ ესპანურად თარგმნილ „ვეფხისტყაოსანში“, რომელიც 1964 წელს გამოიცა არგენტინაში.

ვასილ ჩაჩანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა


ბერტა ფონ სუტნერი


მარჯორი უორდროპი


ნინო ჭეიშვილი


ელისაბედ ორბელიანი


სოფიო ვოლნიკი


ნინო ჭეიშვილის ილუსტრაციები „ვეფხის-ტყაოსნისათვის“


მარიამ პრიტვიცი


ვენერა ურუშაძე


ლუცი ქურდიანი


თამარ აბაკელია


ნათელა იანქოშვილი


ინა დივნოგორცევა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ვენერა და მარსი — დედამიწის მეზობელი პლანეტები

ე. ხარაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი.

მზის ოჯახის ცხრა პლანეტას შორის ვენერა და მარსი ყველაზე ახლოა დედამიწასთან, რის გამოც მათ დედამიწის მ ე ზ ო ბ ე ლ პლანეტებს უწოდებენ. დედამიწასთან სიახლოვის ფაქტი მხოლოდ ახალი ბუნებისმეტყველების ხანაში, ე. ი. კოპერნიკისშემდგომ დროში დადგინდა; კაცობრიობა კი ამ პლანეტებს უხსოვარი დროიდან იცნობს, როგორც კაშკაშა მნათობებს, რომელთა ცნობისწადილის აღმძვრელ შუქფრქვევას იდუმალებას მატებს მათი პერიოდული გამოჩენა ცარგვალზე ხან აღმოსავლეთით, ხან დასავლეთით...

თუ დედამიწის მეზობლობა ამ ორი პლანეტის საზიარო თვისებაა, სხვა მხრივ ისინი მკვეთრად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან. პირველ რიგში ეს განსხვავება გარეგნულია.

ვენერა, მზისა და მთვარის შემდეგ, ყველაზე კაშკაშა მნათობია ცაზე. მისი ოდნავ მოლურჯო, ვერცხლისფერი ბრწყინვა საღამოს შებინდებულ ცის ტატნობზე ან კიდევ ადრე დილით, მზის ამოსვლის წინ, არა მარტო კითხვებს ჰბადებს მის რაობაზე, არამედ ესთეტიკურ სიამოვნებასაც გვანიჭებს. ბუნების ამ ქმნილების გარეგნული მომხიბვლელობა იმდენად ძლიერია, რომ შორეული წარსულის ადამიანმა იგი თავის საუკეთესო წარმოდგენებს დაუკავშირა: ძველი დროის რომაელებმა იგი ქალღმერთად აღიარეს და თაყვანს სცემდნენ მას, როგორც ბაღების ღმერთს; მერე იგი ძველბერძნულ აფროდიტად — სიყვარულისა და სილამაზის ქალღმერთად იცნეს. ადამიანმა იგი თავის მსგავს არსებაში გარდასახა და მისი სახე შთამომავლობას სახვითი ხელოვნების უჭკნობ შედევრებში დაუტოვა. ასპიროზს (ეს ვენერას ძველქართული სახელწოდებაა )მიმართავდა შოთა რუსთაველიც სიტყვებით: „შენ დაამშვენებ კეკლუცთა დაშვენებითა მაგითა...“

მარსი. ესეც კაშკაშა, და ამიტომ, ძველთაგანვე ცნობილი პლანეტაა, ოღონდ სიკაშკაშით შესამჩნევად ჩამოუვარდება ვენერას, „გამომეტყველებითაც“ ძლიერ განსხვავდება მისგან. იგი ოდნავ მოწითალოა და მისი შუქფრქვევა როდია ვენერასებრ ხალისიანი. განსხვავებით ვენერასაგან, რომელსაც მხოლოდ დილის აისში და უფრო ხშირად საღამოს ბინდში ვხედავთ, როცა შებინდებულ ცას ჯერ კიდევ შერჩენილი აქვს ნაზი მტრედისფერი, მარსი უმთავრესად შუაღამეს მოჩანს და ბნელ ცის ფონზე თავისი სისხლისფერი შუქით მრისხანედ გამოიყურება მოციმციმე ვარსკვლავების გვერდით. ცეცხლისა და სისხლის წარმოდგენა აღუძრა პირველყოფილ ადამიანს ამ „სისხლიანმა მნათობმა“, რის გამოც იგი ომის ღმერთად გამოცხადდა.

მკითხველი შეიძლება შეგვეკითხოს: რით არის გამოწვეული ვენერისა და მარსის ხილვადობის პირობების ასეთი სხვადასხვაობა? მზის ირგვლივ ვენერას მოქცევის ორბიტა დედამიწის წლიური ორბიტის შიგნითაა მოთავსებული, ხოლო მარსისა — მის გარეთ. ამიტომ ვენერა ყოველთვის მზის მახლობელი მიმართულებით მოჩანს — დილით, აღმოსავლეთ ცაზე ან საღამოს, დასავლეთ ცაზე. მარსს კი შეუძლია მზის მოპირდაპირე მხარეზედაც მოექცეს და მაშინ იგი შუაღამის სამხრეთ ცაზე კიაფობს, ხოლო როცა მზე ჰორიზონტის ქვეშაა, მის ჩრდილო მხარეზე.

ჩვენს დროში ვენერა და მარსი განათლებული ადამიანის გაცხოველებული კვლევის საგანს წარმოადგენს. ამ კვლევის მიზანია არა მარტო საკუთრივ ვენერასა და მარსის ბუნების გამოკვლევა, არამედ უფრო ზოგადი პრობლემების გაშუქებაც: როგორ წარმოიშვნენ დედამიწა და სხვა პლანეტები, როგორია მათი აგებულება და როგორ მიმდინარეობს მათი ევოლუცია; როგორია სამყაროში ცოცხალი ორგანიზმის გავრცელება, არის თუ არა სიცოცხლე სხვა პლანეტებზე? არა მარტო სიახლოვე დედამიწასთან, არამედ მასთან ერთგვარი მსგავსებაც ქმნის ვენერასა და მარსს პირველი რიგის შესწავლის საგნად.

ჯერ გავარკვიოთ, ასტრონომის თვალსაზრისით, რას ნიშნავს სიახლოვე ცის სხეულთა შორის? ასტრონომებს საქმე აქვთ უზარმაზარ მანძილებთან და „სიახლოვის“ ცნების შედარებითობა გრანდიოზულ ასტრონომიულ სამყაროში განსაკუთრებით შესამჩნევია. უმცირესი მანძილი, რომელზედაც შეიძლება მოგვიახლოვდეს ვენერა 42 მილიონი კილომეტრია, მარსისათვის — 55 მილიონი კილომეტრი. ჩვენი მიწიერი პრაქტიკის თვალსაზრისით ეს უზარმაზარი მანძილია: მთელ დედამიწასაც რომ შემოვუაროთ ირგვლივ, 40 ათას კილომეტრზე მეტს არ გავივლით; მთვარეც კი, რომელიც უკვე მოიარა ადამიანმა, მხოლოდ 400 ათასი კილომეტრითაა ჩვენგან დაშორებული. მაგრამ, ასტრონომები ისეთ ობიექტებსაც იკვლევენ, რომელთა მანძილები ათიათასობით მილიარდჯერ აღებული მილიარდი კილომეტრებით გამოიხატება. მაშასადამე, ასტრონომის თვალსაზრისით, ვენერასა და მარსის დაშორება სულაც არ ყოფილა დიდი. მაგრამ, ეს როდი ნიშნავს, რომ ვენერისა და მარსის კვლევა იოლი საქმეა. რაგინდ ახლო თუ შორს არ უნდა იყოს ცის სხეული, დედამიწის ზედაპირიდან მისი კვლევა ყოველთვის მისგან შორული სხივის ანალიზს ემყარება. ეს კვლევა არაა „ხელშესახები“. მნათობის სხივია მის ბუნებაზე ინფორმაციის მომწოდებელი, და ანალიზი ამ სხივისა, ახლოდან მოვიდა იგი თუ შორიდან, ყოველთვის ერთნაირი მეთოდებით ხორციელდება.

კოსმონავტიკის დიადი მიღწევები, რაც ჩვენმა დრომ მოგვიტანა, ახლა შესაძლებელს ხდის ვენერასა და მარსის შედარებითი სიახლოვე იმისათვის იქნეს გამოყენებული, რომ ისინი უშუალოდ „ხელშეხებით“ საკუთარ გარემოში იქნენ გამოკვლეული ავტომატებით ან ადამიანის ხელითა და თვალით.

მივუბრუნდეთ ახლა ამ პლანეტების დედამიწასთან მსგავსების საკითხს. ვენერას დედამიწის „ღვიძლ დას“ ან „ტყუპის ცალს“ უწოდებენ იმის გამო, რომ სიდიდით, სიმკვრივით და მასით ეს ორი სხეული მცირედ განსხვავდება ერთიმეორისაგან. ვენერაც სფეროსებრი ციური სხეულია, რომლის მოცულობა დედამიწის მოცულობის ცხრა მეათედს შეადგენს; მისი ნივთიერების ყოველი კუბური სანტიმეტრი 5 გრამს იწონის, დედამიწისა კი — $5^{1}/_{2}$ გრამს. ვენერაც გარემოცულია საკუთარი ატმოსფერული გარსით. დედამიწის მსგავსად, ვენერაც მზისაგან ღებულობს სითბო-სინათლეს, მზეს გარემოექცევა და საკუთარი ღერძის ირგვლივაც ბრუნავს, რაც სეზონურ მოვლენებსა და დღისა და ღამის შენაცვლებას განაპირობებს.

ოღონდ მსგავსების მრავალი მაგალითის გვერდით მეტად მნიშვნელოვანი არსებითი განსხვავებანიც მოიპოვება, რომლებიც ვენერას ჩვენთვის უცხო და უჩვეულო სამყაროდ აქცევს. უმთავრესად ეს მის ატმოსფეროს შეეხება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვენერას ატმოსფერო გამუდმებით სავსეა და გაჯერებული მეტად სქელი, გაუმჭვირვალე ღრუბლებით, რომლებიც არასდროს იფანტება, არც თხელდება, ყოველი მხრიდან მოიცავს პლანეტას და ჩვენი ცნობისმოყვარე თვალისაგან გულმოდგინედ იცავს მისი ზედაპირის სურათსა და საიდუმლოებებს. ადამიანს ჯერ ტელესკოპითაც ვერ დაუხედია ვენერას ზედაპირისათვის. არც ვენერაზე მყოფ არსებას (თუ ერთი წუთით ვიფიქრებთ, რომ იქ იმყოფება ასეთი) წყალობს ვენერას ატმოსფერო: მისთვისაც გაუმჭვირვალეა იგი და ამიტომ „იქაურ ადამიანს" არ უნახავს თავისი მოწმენდილი ცა, არ დამტკბარა მოციმციმე ვარსკვლავების ხილვით, არ იცის, რომ მისი ღრუბლების ზემოდან ვარსკვლავების გვერდით შეუძლია დაინახოს ჩვენი დედამიწა მოკაშკაშე პლანეტის სახით...

უფრო ღრმა მნიშვნელობის დასკვნაც შეგვიძლია გავაკეთოთ. ვთქვათ, რომ თავის დროზე ვენერაზედაც დედამიწის მსგავსად გაჩნდა კაცობრიობა და თავიდან ისიც მსგავს ისტორიულ ევოლუციას განიცდიდა. ეს მსგავსება დიდი ხნით არ იქნებოდა შენარჩუნებული. ცის ჭვრეტას, ცის მოვლენების შეცნობას ადამიანისათვის ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს; ასტრონომიულ მეცნიერებას უდიდესი გავლენა მოუხდენია ჩვენი პლანეტის კაცობრიობის ისტორიულ განვითარებაზე. ეს გავლენა მჟღავნდება ადამიანთა მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაშიც და მის ტექნიკურ-ეკონომიურ პროგრესშიც, გავიხსენოთ, მაგალითისათვის, ისეთი დიდი, საკაცობრიო მნიშვნელობის აღმოჩენა, როგორიც იყო ამერიკის კონტინენტის მიკვლევა, — მთელი ჩვენი პლანეტის ეკონომიური პროგრესის ძლიერი ფაქტორი. ცის ობიექტების დაკვირვებასა და ანალიზზე დამყარებულმა შორეულმა ნავიგაციამ მიიყვანა კოლუმბი ამ ახალი ქვეყნის კარიბჭესთან. ცის მნათობების ჭვრეტა და მათი ცვლილებების ანალიზი აყალიბებდა არისტოტელეს, პტოლომეს, კოპერნიკის, ნიუტონის კონცეფციებს, რომლებიც თავის მხრივ საუკუნეების მანძილზე განაპირობებდა ჩვენს პლანეტაზე კაცობრიობის მატერიალურსა და კულტურულ წინსვლას, ადამიანის მიერ ბუნების თანამიმდევრულ შეცნობასა და მასზე გაბატონებას. „ვენერის კაცობრიობა" მოკლებული იქნებოდა ყველა ამას.

ადამიანის გენიამ შეძლო მორეოდა ვენერის ატმოსფეროს ღრუბლების გაუმჭვირვალობას და მოეპოვა ცნობები იმ გარემოზე, რომელიც ამ ღრუბლებში იმალება. საბჭოთა მეცნიერებამ და ტექნიკამ შექმნეს და უკვე სამჯერ გამოიყენეს შესანიშნავი აპარატურა — საპლანეტათშორისო ავტომატური სადგური, რომელმაც მიაღწია ვენერას, შეიჭრა მის ატმოსფეროში, განსჭოლა იგი მთელ სიმაღლეზე, გზადაგზა გაზომა მისი სიმკვრივე, წნევა, ტემპერატურა და სხვა თვისებები, და რადიოელექტრონიკის გამოყენებით მოპოვებული რაოდენობრივი ცნობები მეცნიერებს დედამიწაზე მიაწოდა. ეს არნახული, შესანიშნავი ტექნიკური აღსრულება საუკეთესო, სრულიად დამაჯერებელი მოწმობაა ადამიანის გონების ყოვლისშემძლეობისა და საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მაღალი დონისა.

რა გვამცნო ამ ექსპერიმენტებმა ვენერას შესახებ? ასტრონომების მიერ ადრე მიღებული დასკვნა ვენერას ატმოსფეროში მაღალი ტემპერატურისა და მაღალი წნევის მეფობის შესახებ, — დადასტურდა, შეივსო და დაზუსტდა. ვენერას ატმოსფეროს ზედა საზღვრიდან ქვედამდე ტემპერატურა თანდათან მატულობს დაახლოებით $+40^{\circ}$-დან $+400^{\circ}$-მდე. მაშასადამე, ვენერას ზედაპირის ახლო ტემპერატურა, ჩვენი თვალსაზრისით, აუტანელია. ატმოსფერული წნევაც მაღალია და რამდენიმე ათეულ ატმოსფეროს აღწევს, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველი კვადრატული სანტიმეტრის ფართობის ზედაპირს რამდენიმე ათეული კილოგრამი აწვება. წნევაც აუტანელი ყოფილა. როგორიღაა ატმოსფეროს ქიმიური შედგენილობა? ესეც მიუღებელია ჩვენთვის — ატმოსფერო ვენერაზე 95%-ით ნახშირორჟანგაგაზისაგან შედგება, მხოლოდ 5%-მდეა მასში აზოტი და ჟანგბადი — რაც დედამიწაზე ატმოსფეროს არსებით ელემენტებს წარმოადგენს.

ესოდენ მკაცრი, მიუკარებელი ყოფილა სილამაზისა და სიყვარულის ქალღმერთი — პლანეტა ვენერა. კოსმონავტი ადვილად ვერ ჩაუშვებს ვენერას ატმოსფეროს წიაღში კოსმოსური ხომალდის ღუზას. მაგრამ, ცნობისწადილით შეპყრობილი ადამიანი არ მოეშვება მას, ყველა სხვა ღონეს იხმარს, უმთავრესად კი ავტომატიკას მიმართავს, რათა ფარდა ახადოს ვენერას საიდუმლოებებს.

სინამდვილეში გაცილებით უფრო „თვინიერი" აღმოჩნდა ციდან მრისხანედ გადმომყურე ომის ღმერთი — მარსი. მოცულობით დედამიწის მეშვიდედის, მასით ანუ წონით მისი მხოლოდ მეათედის ტოლი მარსიც გარემოცულია ატმოსფერული გარსით, მაგრამ მისი ეს საბურავი გამჭვირვალეა, ასტრონომი დასცქერის მარსის ზედაპირს, შეისწავლის მის აგებულებას, შენიშნავს მასზე მომხდარ ცვლილებებს, რომელთაგან ზოგი გარკვეული კანონზომიერებით მეორდება. მაგალითად, მოჩანს მარსის პოლუსების რთვილით დაფარული არეები, ანუ ეგრეთწოდებული პოლარული ქუდები, რომლებიც მარსის ზამთრის სეზონში ფართოვდება, ხოლო ზაფხულის დროს — მცირდება, მაშასადამე, დნობას განიცდის. მარსის ზედაპირზე შეინიშნება ზოგჯერ ამტვერება, ნიადაგის ნაწილაკების ერთი ადგილიდან მეორეზე გადანაცვლება, მარსის ქარების ზეგავლენით.

მზიდან მეტი სიშორის გამო მარსზე სითბო-სინათლე დედამიწასთან შედარებით გაცილებით ნაკლებია. დაახლოებით ისეთივეა საშუალო ტემპერატურა იქ, ეკვატორის ზოლში, როგორც ჩვენთან — პოლარულ არეებში. მარსის შესამჩნევად გაიშვიათებული ატმოსფეროც არაა ხელსაყრელი ადამიანისათვის არც თავისი გაიშვიათებულობით, არც ქიმიური შედგენილობით, მასში ჟანგბადისა და წყლის ორთქლის მცირე შემცველობის გამო, და მაინც, იქაური პირობები იმზომად მკაცრი არაა, როგორც ვენერაზე. კოსმონავტისათვის მარსის ზედაპირი სავსებით მისაწვდომია. მაგრამ სიშორის გამო მარსზე მისვლა-მოსვლას თითქმის ორი წელიწადი დასჭირდება და ასე ხანგრძლივი კოსმოსური ფრენა ჯერ მოითხოვს წინასწარ რიგი ტექნიკური ამოცანების ამოხსნას, ბიოლოგიური პრობლემების შესწავლას, აპარატების გამოცდასა და ადამიანების წრთვნას. მაინც, არც თუ „ცხრა მთას გადაღმაა" მარსი, და უეჭველია, რომ სწორედ იგი იქნება, მთვარის შემდეგ, მეორე კოსმოსური სხეული, რომელსაც ადამიანი ჩვენს საუკუნეში მოივლის.

ბელა შალვაშვილი

## ანანურში

თითქოს ტრფიალთან რჩებიან მარტო,
ვარსკვლავნი ისე მალავენ თვალებს...
ცაა ცისფერი, დიდი ხომალდი,
ხომალდში ზის და დაცურავს მთვარე.
ქარი კი დადის ქარიან გულზე
და აბარბაცებს ფოთლებს და... აქცევს...
და მიძინების ტაძრიდან ფრთხილად
მე ჩაძინებულ ანანურს დავცქერ.

## კამკამა ზეცა

ზეცა ისეთი კამკამაა —
აღარ დაგჭირდება სარკე...
ახლა გვიანაა საკმაოდ,
აქეთ, სიყვარულო, აქეთ.
ტეხური ისე კამკამაა —
ცას არ დასჭირდება სარკე...
მთვარეს კი მდინარის აკვანში
სძინავს და... ტალღები არწევს.
სულ არ მეძინება ამ ღამეს,
აქეთ, სანატრელო, აქეთ...
ჩემი თვალები კამკამაა,
აღარ დაგჭირდება სარკე.

11.308



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხელმადლიანი კალმოსანი

ძეგვრამში დიდებული ბერმუხა დგას. საუკუნეებს გაუძლო ამ მუხამ. მას თურმე ის დღეც ახსოვს, ნაჭარმაგევზე გამოვლილმა თამარ მეფემ ბედაური რომ შეაჩერა მის ჩრდილქვეშ... ბავშვობაში მის ჩრდილში ბევრჯერ შეუფარებია თავი თინათინ ჯავახიშვილს, სიბერის ჟამსაც ეწვია იგი ახოვან ხეს, და ათასი მოგონება აეშალა. ასე აღიბეჭდა გარდასულ დროთა ამბავი თინათინ ჯავახიშვილის წიგნში „წარსულიდან მოგონებები."

„ჩემი თავი სამი წლის ასაკიდან მახსოვს!" — ამბობს ავტორი და ყველაფერს დაწვრილებით აღნუსხავს, რაც კი დიდი სამამულო ომის ქარიშხლიანი დღეების ჩათვლით გადახდენია. წერის ხალისიანი მანერით, ფერთიანი სიტყვით, დახვეწილი, ლაკონური სტილით გვამცნობს იგი ძველსა და ახალ სოფელს. მოგონებათა ეს წიგნი თემების მრავალფეროვნებით გამოირჩევა, მრავალი გმირი მოქმედებს ამ 66 ლიტერატურულ სურათში, ფრაგმენტსა და მინიატურაში. და არსად ტრაფარეტი. თითქოს მწერალს, სხვადასხვა ხასიათის პერსონაჟების პორტრეტთა მოსახაზად, თითოეულისათვის განსხვავებული და საგანგებო ფუნჯი უპყრია ხელთ. მკითხველს ღრმად ჩარჩება მეხსიერებაში ეს გმირები — ძეგვერული პერსონაჟები, ახალი სოფლის მოჭირნახულენი, თუ ძველზე დამგლოვიარებული ადამიანები. აი, ძველი გორის საინტერესო ამბები. აი, მშობლიური სოფლის აწმყო და გუშინდელი დღე. ამ ადამიანებთან უცხოვრია ავტორს, მათთან ერთად გადაუტანია ცილისწამებითა თუ გაუგებრობით გამოწვეული განსაცდელი და მათთან ერთად გაუხარებია ჩვენი ქვეყნის ყოველ ახალ მიღწევას.

მოგონებათა ამ წიგნით ავტორი ძეგვერულ მუხასავით უდრეკ და მტკიცე მანდილოსნად გვესახება. ასეთი კია ცხოვრებაში? და აი, ძველ თბილისურ ბინაზე ვეწვიე თინათინ ჯავახიშვილს. საუბარმა რამდენიმე საათს გასტანა და უბის წიგნაკში ჩავინიშნე: — „ოთარაანთ ქვრივის" სწორია! ამ გახსენებაზე ერთი საინტერესო ამბავიც მინდა გაგიზიაროთ: ილიაობას, საგურამოში, მასპინძელს ოქროს საკინძი დაუკარგავს, მეორე საკინძი კი ელისაბედ ჩერქეზიშვილისათვის უბოძებია. ელისაბედმა საკინძი ქინძისთავად გადააკეთებინა და ისე ხმარობდა. მერე მისმა შთამომავალმა ეს ძვირფასი ნივთი თინათინს აჩუქა თურმე. ახლა ილიასეული უნიკალური ქინძისთავი გორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული.

ამბის მოყოლა რომ დაამთავრა, თინათინმა თვალი მაგიდაზე დალაგებულ „წყნარი დონის" ქართულ ტომებს შეავლო. მიხეილ შოლოხოვის ცნობილი რომანის მთარგმნელი ხომ ჩემი მასპინძელია! ბუნებრივია, დავინტერესდი ამ თარგმნის ისტორიით. შესაძლოა, ის ტომები ამ ჭერქვეშ არ დამხვედროდა, მთარგმნელ ქალს რომ ერთხანს შორეულ უხტაში არ ეცხოვრა. უხტაშივე წაიკითხა თინათინ ჯავახიშვილმა პირველად ვ. შიშკოვის „უგრიუმ-მდინარეც", ჩრდილოეთში შექმნილ მყუდრო ოჯახში როსტოვიდან მიიღო „წყნარი დონი". წაიკითხა, აღფრთოვანდა და ქართული სიტყვით შეება, დედა-ენაზე აამღერა. პარალელურად „უგრიუმ-მდინარეც" თარგმნა.

ქართველმა მკითხველმა მადლიერებით მიიღო ნათარგმნი. მაგრამ ადვილი როდი იყო „წყნარ დონთან" შეჭიდება. კაზაკური ჟარგონის „დაუმორჩილებლად" ნათარგმნი სრულფასოვანი არ გამოვიდოდა. ამიტომ თინათინი თითქმის წელიწადნახევარს ატარებს როსტოვსა და წყნარი დონის სანაპირო სტანიცებში. ბაგაევსკში — ალექსანდრა სოროკოვიჩის კერაზე და სხვა სოფლებში თვეობით ისმენს მკვიდრთა მასლაათს, ენას იტეხს. როსტოვში მიხეილ შოლოხოვი გაიცნო და არც ვეშენსკოე დაუტოვებია დაუთვალიერებელი. თინათინ ჯავახიშვილი გულმოდგინედ სწავლობდა კაზაკთა ზნე-ჩვეულებებს და მხედველობის არედან არ უშვებდა წვრილმანებსაც კი. მინდვრად შეხვდა მოჭრიალე „მაჟარას" — იგი საძნე ურემი ყოფილა თურმე! არც საქართველოში დაბრუნების შემდეგ ისვენებდა დონზე შეყვარებული მანდილოსანი;. აკადემიკოს ნიკო კეცხოველის რჩევით, მთარგმნელმა ერთხელ კიდევ საგანგებოდ მოიარა დონის ტრამალი, ჩამოიტანა იქაური ყვავილები, ბალახ-ბულახი. დონური ჰერბარიუმის საფუძველზე დაზუსტდა წიგნში მოხსენებულ მცენარეთა ქართული სახელები. ასე იქმნებოდა კალმოსანი ქალის კაზაკურ-ქართული ლექსიკონი. იგი ყოველთვის მწერალთა წრეში ტრიალებდა. ჰორიზონტი გაუფართოვა ვ. ლებედევ-კუმაჩთან, ოსტაპ ვიშნიასთან, მიხეილ ნაზვანოვთან თუ ნიკოლოზ ასანოვთან მრავალგზის შეხვედრა-საუბარმა. ნ. ასანოვის საოჯახო ბიბლიოთეკა 1952 წელს შეიმკო „საბჭოთა საქართველოს" მიერ ქართულად გამოშვებული „წყნარი დონით" და იგი სწორედ თინათინმა უძღვნა სახსოვრად. მეორედ ეს რომანი ცხრა წლის შემდეგ გამოიცა. მთარგმნელს ერთხელ კიდევ მოუხდა ნაცნობ ადგილებში მოგზაურობა და მაშინ შეასრულა კაზაკური ჩვეულება (შინ დაბრუნებისას, კაზაკები რაიმე ნივთის დონში გადაშვებით მიესალმებიან მდინარეს) — თინათინ ჯავახიშვილმა „წყნარი დონის" ქართული თარგმანი მიაბარა მდინარის ტალღებს.

თინათინ ჯავახიშვილმა უზადოდ თარგმნა „უგრიუმ-მდინარეც". მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე საბავშვო მოთხრობა — „თამრიკოს საყვარელი ზღაპარი", ჩეხურიდან ნათარგმნი წიგნი — „რომეო, ჯულიეტა და წყვდიადი". დასაბეჭდად მზად აქვს ნორჩთა შორის შეკრებილი ენამახვილი გამოთქმები: „ბავშვები ლაპარაკობენ". მკითხველი ახალ გმირებს შეხვდება „წარსულიდან მოგონებების" მეორე წიგნში. პირველი ეხება თინათინ ჯავახიშვილის რუსეთში ცხოვრების პერიოდს, მეორეში საქართველოში ნახულსა და განცდილს მოგვითხრობს.

თინათინი გვესაუბრება იმის თაობაზეც, თუ როგორ უყვარს წიგნი. გორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულია მის მიერ ნაჩუქარი 400-მდე წიგნი, რომლებსაც ავტორების — ქართველი მწერლების სამახსოვრო წარწერები ამკობენ. ავტოგრაფების დიდებული კონაა! ხელმადლიანი კალმოსანი ქალის წიგნთა გორულ ფონდს მალე მიემატება „წარსულიდან მოგონებების" მეორე ნაწილიც.

**ვანო ჯავახიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სონგმელი გოგონა



მან ყველას ყურადღება მიიპყრო. იდგა ხალხში გამხდარი გოგონა, თაფლისფერი ნაღვლიანი თვალებით, გვიწვდიდა ხელებს და რუსულად მოგვმართავდა; „გამარჯობას“ ნაცვლად „ნახვამდისო“ გვეუბნებოდა. გვაღელვებდა მისი გულმოდგინება, — ცდილობდა რაღაც სასიამოვნო ეთქვა მეგობრებისათვის, რომლებსაც აქ, მოსკოვის კულტურისა და ტექნიკის სასახლეში, მოეყარათ თავი, გოგონას თანამემამულეებთან ერთად სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის შექმნის ცხრა წლისთავი რომ აღენიშნათ.

ვინ იყო ეს გოგონა? დარბაზში მყოფნი ერთმანეთს გადასცემდნენ მის ვინაობას: „გოგონა სონგმელია“, „ერთ-ერთი იმათგანია, ვინც სიკვდილს გადაურჩა“.

სონგმელი გოგონა... მრავალმა ადამიანმა ნახა შემდეგ იგი ტელევიზიის ეკრანზე, მოსკოველი პიონერებით გარშემორტყმული, გაიგეს მისი სახელი — ვო თხი ლიენი. ამ გოგონამ ასობით კილომეტრები გაიარა სამხრეთვიეტნამელ პარტიზანთა მოქმედების რაიონებში, ათასობით კილომეტრები — მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, ამერიკელი აგრესორების დანაშაულობათა შესახებ სიმართლე რომ ეთქვა ადამიანებისათვის.

ვო თხი ლიენი სოფელ მიხოიში დაიბადა, სონგმის თემში (ეს თემი 1964 წლიდან განთავისუფლებულ რაიონად ითვლება). ამერიკელები მრავალჯერ დაესხნენ თავს მიხოის. მაგრამ იმან, რაც 1968 წლის 16 მარტს მოხდა, მთელი მსოფლიო შეძრა.

ჰყვებოდა თორმეტი წლის გოგონა იმ დღეს სოფელში დატრიალებულ ტრაგედიაზე და თვალები ცრემლებით ევსებოდა.

„ადრე დილით გრუხუნმა გაგვაღვიძა — იანკები ქვემეხებს უშენდნენ სოფელს. მალე ვერტმფრენებიც მოფრინდნენ და ამერიკელები გადმოსხეს, ისინი ჩვენსკენ წამოვიდნენ და ავტომატები დაუშინეს ხალხს. ბაბუა, ბებია და მე სანგარში დავიმალეთ. ჩქარა ბრძანება გავიგონეთ — ზემოთ ამოდითო. პირველად ბებია წავიდა გასასვლელისაკენ, აკაკანდა ავტომატი... ეს ბებიას ესროლეს, მერე სანგარში ყუმბარა ჩამოაგდეს... გრძნობა დავკარგე, როცა გონს მოვედი, ვხედავ ბებიას უსულო სხეული ზემოდან მაწევს, ბაბუა ჯერ კიდევ ცოცხალია, მაგრამ გრძნობა დაჰკარგვია...

როცა ზემოთ ყველაფერი მიწყნარდა, ფრთხილად ამოვძვერი სანგრიდან და მეზობლებს საშველად მოვუხმე. არავინ გამომეხმაურა. თავშესაფარში შევიჭყიტე და რას ვხედავ! — მოუკლავთ ბებია ტოანი და მისი ქალიშვილი ჩვილ ბავშვიანად. შესასვლელთან სისხლის ტბაში ცურავს ხელებწაგლეჯილი ბაბუა ტოანი, დაუხვრეტიათ ჩემი მეგობარი გოგონა სიც. ჩვენს სოფელში ბევრი ბავშვი იყო, ცოცხლები გადავრჩით მხოლოდ ოთხი: მე, გოგონა მინი და ჩემი ბიძაშვილები — დიკი და ლოი... საღამოს სხვა სოფლებიდან მოვიდა ხალხი, დახოცილები რომ დაეკრძალათ.

რატომ დახოცეს ისინი?

იმ დღეს ამერიკელებმა გადაწვეს ვო თხი ლიენის სოფელი, დახვრიტეს 87 კაცი, მათ შორის 55 ბავშვი. მრავალი უდანაშაულო ადამიანი ამოჟლიტეს მეზობელ სოფლებშიც. მარტო სოფელ კრეთხუანში 880 კაცი დახოცეს.

ამერიკელი აგრესორები თავშესაფარს უსპობენ მებრძოლი ვიეტნამის ბავშვებს, ცდილობენ წაართვან მათ სამშობლოც. ამ მრავალტანჯული ქვეყნის ბავშვები საკუთარი თვალით ხედავენ ოკეანესგაღმელი მკვლელების მხეცობას, ხედავენ, როგორ უმოწყალოდ ჟლეტენ ისინი მშვიდობიან მოსახლეობას.

ვო თხი ლიენს მრავალი ევროპული ქვეყნის ადამიანებმა მოუსმინეს. ბავშვის პირით ნათქვამი სიმართლე ყველაზე დამაჯერებელი ბრალდებაა მკვლელთა მიმართ.

16-19 თებერვალს ვიეტნამელი გოგონა მაინისფრანკფურტში, დორტმუნდსა და ჰანოვერში უნდა გამოსულიყო. მაგრამ დასავლეთ გერმანელმა ხელისუფლებმა ვიზა არ მისცეს მას, აკრძალეს ვიეტნამში ამერიკელთა აგრესიის წინააღმდეგ საპროტესტო მიტინგების გამართვა. სიმართლეს გზა მაინც ვერ გადაუღობეს. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პროგრესულმა ორგანიზაციებმა გაილაშქრეს მთავრობის ღონისძიებათა წინააღმდეგ და მიაღწიეს იმას, რომ ვო თხი ლიენმა დასავლეთ გერმანიაში შესასვლელი ვიზა მიიღო.

ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიას, უდანაშაულო ქალთა, მოხუცთა და ბავშვთა ჟლეტას გმობენ ჩვენი პლანეტის ადამიანები, მათ შორის — მილიონობით ამერიკელი. აი რა განაცხადა ამერიკელ აგრესორთა მიერ სონგმის თემის მცხოვრებთა ხოცვა-ჟლეტის მოწმემ, ამერიკელთა არმიის ყოფილმა ფოტოგრაფმა რონალდ ხებერმა გაზეთ „კლივლენდ პლეინ დილერისათვის“ მიცემულ ინტერვიუში:

„... იქ ორი ბიჭი იყო, ერთი ოდნავ მოზრდილი, მეორე სულ პატარა, ასე ოთხი-ხუთი წლისა. ჯარისკაცმა მათ შაშხანის ტყვიები დაუშინა. უფროსი ბიჭი შეეცადა უმცროსს გადაფარებოდა. ჯარისკაცი სროლას განაგრძობდა, მე ვხედავდი, თუ როგორ იწვოდნენ ტყვიები ბავშვის სხეულში. მეორე ჯარისკაცმა მიმალული დედებისა და ბავშვების ჯგუფი აღმოაჩინა. მან ხელი სტაცა ერთ გოგონას და ტანსაცმლის შემოძარცვა დაუწყო — გვაინტერესებს გავიგოთ, რა მასალისგან არის შექმნილი ეს გოგონაო, — ცინიკურად აცხადებდნენ ჯარისკაცები. მათ უფლება არ მისცეს დედას, მიშველებოდა ქალიშვილს, რომელიც ცამეტი წლისა თუ იქნებოდა...“

კვლავ ახალი ცნობა ამერიკელი მხედრიონის მხეცობაზე: მ. წ. თებერვალში მათ სამხრეთ ვიეტნამის სოფელ მაი კხეში მოსპეს 100 მშვიდობიანი მცხოვრები. შეშფოთებული ადამიანები თორმეტი წლის გოგონასთან ერთად აღელვებით იმეორებენ: „რისთვის დახოცეს ისინი?“

ვო თხი ლიენი სამშობლოში დაბრუნდა, თანამემამულეებთან, რომლებიც მტკიცედ და უშიშრად განაგრძობენ ბრძოლას საბოლოო გამარჯვების მოსაპოვებლად. მათ სამართლიან ბრძოლას მხარს უჭერენ ჩვენი პლანეტის თავისუფლებისმოყვარე ადამიანები.

ნ. კონდაკოვა.

ჟურნალი „კრესტიანკა“, ივნისი 1970 წ.

---

*) იბეჭდება შემოკლებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქალიშვილის რედაქციას!

ბევრი ფიქრის შემდეგ ისევ თქვენ მოგმართავთ. მაინტერესებს, აქვს თუ არა ადამიანს უფლება, გამოექომაგოს უდანაშაულოს, მით უმეტეს, თანაკლასელს?

მე მეათე კლასის მოსწავლე ვარ. ერთხელ, როცა ყველანი კლასში ვიყავით, მასწავლებლის გარდა, თანაკლასელმა ვაჟმა ამხანაგ გოგონას რვეული დაუხია, რატომ არ მათხოვეო. გოგონამ ტირილი დაიწყო. ველარ მოვითმინე: ცოდო არ არის, რატომ დაუხიემეთქი, ვუთხარი. ვაჟი მომიბრუნდა და ისეთი პირით მაგინა, რომ კარგა ხანს გაოგნებული ვიდექი. მაგრამ არცერთი ჩემი თანაკლასელი არ გამომექომაგა, მხარი არ დამიჭირა. ისიც კი არ ჰკითხეს ბიჭს, რატომ აგინეზო. პირიქით, მე გამამტყუნეს: რა გრჯიდა, სხვას რომ ესარჩლებოდიო. წარმოიდგინეთ, დედამაც კი, რომლისაც ყველაფერი მჯერა, ასე მითხრა: სხვის საქმეში რას ერეოდი, ვისაც რა უნდა ისა ქნასო.

მგონი, სკოლაში ასე გვასწავლიან: „ამხანაგს პატივს უნდა სცემდე, გიყვარდეს, სხვას არ დააჩაგვრინო“. იქნებ მე ვერ გავიგე სწორად ის, რაც ათი წლის მანძილზე მასწავლეს? იქნებ ყველაფერი მხოლოდ ფორმალობაა, მხოლოდ წესივით ზეპირად დასასწავლი?

მრავალჯერ გაგვირჩევია კლასში ლიტერატურული ნაწარმოები, დაგვიგმია ცუდი, ცამდე აგვიყვანია კარგი და მართალი. მაგრამ, რა მერე, საქმე საქმეზე რომ მიდგა, ყველამ თვალი დახუჭა, რომ არაფერი შეენიშნათ.

უკვე მოგახსენეთ, ყველამ მე გამამტყუნამეთქი. ახლა თქვენი აზრი მაინტერესებს. თუ მართლა შეცდომა დავუშვი, პირობას გაძლევთ, არასოდეს სხვის საქმეში აღარ ჩავერიო.

ბ. მ.

# ერთადერთი გულმართალი

არ შეიძლება, დამშვიდებით წაიკითხოს კაცმა ეს წერილი. მეც გულისტკივილით და აღშფოთებით წავიკითხე.

მართლაც და, ნუთუ მთელ კლასში არ აღმოჩნდა, ამ წერილის ავტორის გარდა, ერთი მაინც გულმართალი, ერთი მაინც თავმოყვარე, ერთი მაინც ნამდვილი კომკავშირელი? საოცარია!

აი, სულ ახლა გადაიხადა ჩვენმა ქვეყანამ ლენინის დაბადების 100 წლისთავი. ჩავატარეთ ლენინიანა. და ითქვა ის, რასაც გვასწავლიდა ლენინი: პატივი ეცით ამხანაგებს, იბრძოლეთ სიმართლისათვის, იყავით სულით ფაქიზნი და გულით მართალნი... რატომ დაავიწყდათ ეს ყველაფერი იმ სკოლის X კლასის მოსწავლეებს? ნუთუ იმ სკოლაში საზოგადოებრივ მორალზე ერთი სიტყვა მაინც არ უთქვამს ან დირექტორს, ან მასწავლებელს, ან კომკავშირელ მუშაკს?.. ვაი, რა სკოლა ყოფილა!.. როგორ დავიწყებია ამ სკოლას ის გმირული და კეთილშობილური გზა, რომელიც განვლო ჩვენმა ახალგაზრდობამ, ჩვენმა კომკავშირმა, მთელმა ჩვენმა ქვეყანამ სიმართლისათვის ბრძოლაში, ამხანაგისა და მეგობრის დახმარებისათვის ბრძოლაში, ეროვნული სიამაყისა და ადამიანური ღირსებისათვის ბრძოლაში.

კითხულობ წერილს და ძნელია დაიჯერო, რომ მთელ კლასში არავის არ ჰქონდეს წაკითხული ნ. ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადი“. პატარა პავკა კორჩაგინმა ხომ თავი გასწირა თავისი უფროსი მეგობრის — ჟუხრაის გადასარჩენად! ნუთუ არავის წაუკითხავს ამ კლასში ალექსანდრე ფადეევის ცნობილი რომანი „ახალგაზრდა გვარდია?“ იქ ხომ მათი ასაკის იატაკქვეშელი ახალგაზრდები ერთმანეთის მხარდამხარ იბრძვიან, ერთმანეთს პატივს სცემენ, და ვის მოუვა აზრად შეურაცხყოს ამხანაგი? მხოლოდ მოღალატე თუ გადგება განზე და გამოეთიშება ამხანაგურ წრეს...

ან და ჩვენი შესანიშნავი მწერლის — კონსტანტინე ლორთქიფანიძის „როგორ მოკვდა მოხუცი მებადური“. მოხუცმა უიგამ ადგილი შეუცვალა დასახვრეტად გამზადებულ ამხანაგს — „მეხუთე“ მებრძოლს... ადვილი როდია სიკვდილი, მაგრამ მას არ შეუშინდება კაცი, თუ კეთილშობილი გული აქვს და ნათელი რწმენა პატიოსანი სიცოცხლისა.

მაგრამ, ეგებ, ვაჭარბებ? სად ზემოთ ჩამოთვლილი მწერლების გმირთა თავდადება და სად რვეულის დახევა?

ასე არ არის, რასაკვირველია! საქმე რვეულში როდია, საქმე იმაშია: „აქვს თუ არა ადამიანს უფლება გამოექომაგოს უდანაშაულოს, მით უმეტეს, თანაკლასელს?“

აქვს! რასაკვირველია აქვს! ვალდებულიცაა...

ამას ასწავლის მოწაფეებს ჩვენი სკოლა. წერილის ავტორი ამბობს: „მრავალჯერ გაგვირჩევია კლასში ლიტერატურული ნაწარმოები, დაგვიგმია ცუდი, ცამდე აგვიყვანია კარგი და მართალი“. მაშასადამე, იცნობენ მოწაფეები პავკა კორჩაგინს, იცნობენ ახალგაზრდა გვარდიელებს, იცნობენ მოხუცი უიგას გმირობას... მაგრამ, რა მერე, საქმე საქმეზე რომ მიდგა, ყველამ თვალი დახუჭა, რომ არაფერი შეენიშნათ“...

აი, საქმეც ეს არის! ცუდად უსწავლებიათ და არცერთის შეგნებაში არ შესულა შესწავლილ გმირთა კეთილშობილებისა და ვაჟკაცობის მაგალითი, გარდა ერთისა, გარდა წერილის ავტორისა. საკითხავია, რატომ „დახუჭა ყველამ თვალი?“ ერთმა ხულიგანმა ბიჭმა როგორ მოიგდო ქვეშ და გათელა სინდის-ნამუსი მთელი კლასისა? რატომ დახუჭა მთელმა კლასმა თვალი ამ საზიზღრობაზე? რატომ დაივიწყეს არა მარტო ის, რაც სკოლაში უსწავლიათ, არამედ ისიც, რითაც საუკუნეების მანძილზე ცხოვრობდა და ცოცხლობდა ჩვენი ხალხი?

„ძმა ძმისთვისაო, შავი დღისთვისაო“. „კაცი კაცის წამალიაო“, — ვინ თქვა, თუ არა ქართველმა ხალხმა?

ქალის კულტი, ქალის პატივისცემა ჩვენი ხალხის ეროვნული ნიშანდობლივი თვისებაა. ქალის გინება რა საკადრისია ჩვენში?

ან და რუსთაველმა არა თქვა: „ოდეს კაცსა გაუჭირდეს, მაშინ უნდა ძმა და თვისი“...

აი ამაზე, ჩვენი ხალხის მორალზე, რუსთაველის მორალზე, ლენინურ, კომუნისტურ მორალზე იზრდება ჩვენი ხალხი, ჩვენი ახალგაზრდობა და ვისა აქვს უფლება ხელჰყოს ეს მორალი?

და მე მინდა, მთელი ჩემი სულით და გულით, მეგობრული პატივისცემით და მწერლური სიფაქიზით ვუთხრა წერილის ავტორს:

— ყოჩაღ, გულმართალო გოგონავ! კარგად და ამხანაგურად მოქცეულხარ!.. შენს საქციელს იწონებს ჩვენი რედაქცია და შენი საქციელით ვამაყობ მეც! სამწუხარო კია, რომ მთელ კლასში შენ აღმოჩნდი ერთადერთი გულმართალი.

როდიონ ქორქია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დედის ჩირაღდანი აენთო



ჩასდუდუნებს მიწას ოთხმოც წელს გადაცილებული ქალია რაზმაძე. გამვლელები „დილა-მშვიდობისას" უსურვებენ ღობის გადაღმიდან და სინანულით იქნევენ თავს — ჰაი, დედასა, სამი ვაჟკაცის დედა მარტო უნდა გრიალებდეს ამ ეზო-მიდამოში, ბაღსა და ვენახში?

ეს რა ჰქმენ, უწყალო ომის ქარცეცხლო — სამმა ძმამ, სამმა უცოლშვილო ჭაბუკმა გაიხურა ეს ჭიშკარი და იმ დღიდან აღარც შემოუღიათ...

გაფრინდნენ დღენი, თვეები, წლები. დედა კი დგას და ელის, ჭიშკრის ჭრიალს ელის, მათ ბრიალა თვალებს ელის, მათ ვაჟკაცურ ხმებს ელის. „არ დაიდარდო, დედაო", — გახმიანდება ხოლმე ზოგჯერ გულში მათი მხარის პოეტის — გიორგი ლეონიძის ლექსი. მაგრამ ეს ერთი წამით, მხოლოდ ერთი წამით. მერე ისევ იმართება მხარში ქალია, და ისევ ელის ცოცხალ ბიჭებს, ომგადახდილებს, ვალმოხდილებს.

ბიჭებო, ბიჭებო! უწინამც დედათქვენი დამიწდეს, მანამ თქვენს არდაბრუნებას დაიჯერებდეს! სოფელი ღონიერია, ბევრი აშველებს ხელს მარტოდარჩენილ დედას, მაგრამ ის მაინც თავისას არ იშლის, საკუთარი ხელით მოწეულ დოვლათს დაახვედრებს, საკუთარი ხელით დაწურულ ღვინოს შეაგებებს.

არა, არ სჯერა! ძნელია გადაარწმუნო დედის გული. მაგრამ ის უფრო ძნელია, მის დარწმუნებას შეეცადო!

და მაინც ერთხელ გაბედეს, შებედეს დედის გულს.

ეს მაშინ მოხდა, გარდაბნის რაიონულ ცენტრში სამამულო ომში დაღუპულთა ძეგლი რომ აღმართეს და ჩირაღდანი, უკვდავების უქრობი ჩირაღდანი რომ უნდა აენთოთ.

ვის უნდა აენთო?

ვის უნდა აენთო, თუ არა სართიჭალელ დედას— 85 წლის ქალია რაზმაძეს, რომელმაც სამი ვაჟკაცი შესწირა სამშობლოს გამარჯვებას.

დედავ, გამაგრდი! შენ უნდა წახვიდე, შენ უნდა დაანთო ეს ცეცხლი, რომელიც ამიერიდან შენს გულში იგიზგიზებს შვილების ნაცვლად.

და იგი მწუხარე ქანდაკებად აღიმართა ძეგლთან, იმ ჯარისკაცების მსგავსად, საპატიო რიგში რომ გამწკრივდნენ.

გულიდან გულში გადადის ხმა — დიდება გმირებს, ვინც სამშობლოსათვის ბრძოლაში დაეცნენ!

ხალხი დაიშალა.

იგი კი ისევ იდგა.

ახლა დიდ, ენითუთქმელ მწუხარებას სადღაც შეღავათი მიეცა თითქოს:

ამიერიდან შვილების სამარე ამ ძეგლთან გაიჩინა. აქ მოვა გულის მოსაოხებლად, შვილებთან სალაპარაკოდ, საჩურჩულოდ.

და სცვივა ჩირაღდანს დედის ცრემლები.

ეთერ ყუშიტაშვილი,

სართიჭალა.

## ჩვენი საოჯახო კლუბი

# მინი გრძელდება



ამ გაზაფხულზე, ჩვეულებისამებრ, პარიზის სახელგანთქმულმა მოდელების სახლებმა წარმოადგინეს თავისი ახალი კოლექციები. მიზანი ამ ყოველწლიური დემონსტრაციისა იმაში მდგომარეობს, რომ განისაზღვროს მოდის შემდგომი განვითარების ტენდენციები. კოლექციები წარმოადგინეს კრისტიან დიორმა, ივ სენ ლორანმა, პიერ კარდენმა და ჟაკ ესტერელმა.

სადემონსტრაციო დარბაზის ფიცარნაგებზე, სადაც ორი ათასი მოდელის ჩვენება მიმდინარეობდა, ნამდვილი ბრძოლა გაიმართა „მინისა" და „მაქსის" მიმდევართა შორის. ლაპიდუსი და სხვა რამდენიმე მოდელიორი დაჟინებით იცავენ ულტრამოკლე ქვედატანს. ივ სენ ლორანი და კარდენი კოჭებამდე და შუა წვივამდე სიგრძეს უჭერენ მხარს. ხოლო დიორი და შანელი — მუხლის ქვევით 10 სანტიმეტრით გრძელ ქვედატანს.

საფეიქრო ფაბრიკების მფლობელები კმაყოფილი არიან „მაქსი" მოდით: გრძელ ქვედატანს ბევრი ქსოვილი სჭირდება.

ქალები რაღას ამბობენ? ზოგი რას და ზოგი რას: „კაბის დამოკლება ადვილია, დაგრძელებაა ძნელი", — ლოღიკურად ასკვნიან ერთნი. „ნუთუ უფლება არა გვაქვს ისე ჩავიცვათ, როგორც ჩვენ გვსურს, — ამბობენ მეორენი, — თუ ნივთები ვართ და მოდის ბრძანებებს უნდა დავემორჩილოთ?" მესამენი ამბობენ: „ყველამ ისე ჩაიცვას, როგორც მოეხასიათება" და აყენებენ ასეთ ლოზუნგს: „სხვადასხვა სტილი — სხვადასხვა სიგრძე."



რადგან წარმოდგენილი მოდელების 90 პროცენტი „მაქსის" სტილში იყო გადაწყვეტილი, საფრანგეთის რადიომ გადმოსცა: „მინი ქვედატანი გრძელდება". ამრიგად, ახალი სიგრძე — „მაქსი" ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდა. თუმცა ეს „ახალი" ამ ოცდაათი წლის წინ იყო მოდაში.

მეორე პრობლემა, რომელიც წელს საფრანგეთის მოდელიორებს აფორიაქებს, ქალისა და მამაკაცის მოდის დაახლოება გახლავთ. ესტერელმა მამაკაცებს უფრო ნაზი სამოსი შესთავაზა და დამსწრე საზოგადოებას ორი მანეკენი წარმოუდგინა — ქალი და მამაკაცი — ერთნაირ გრძელ ტუნიკებში გამოწყობილი. მისი აზრით, ეს ტანსაცმელი თავისებური ექვივალენტია აღმოსავლური ხიფთანისა და კიმონოსი. მაგრამ იძლევა თუ არა საშუალებას თანამედროვე სოციალური და ესთეტური მომენტები, რომ მამაკაცებმა ისე ჩაიცვან, როგორც შუა საუკუნეებში?

აი, ეს საწინააღმდეგო ტენდენციები აფერხებენ მოდის პროგნოზს. მაგრამ მოდას ხომ არ შეუძლია ხან აქეთ მიიწუდეს და ხან იქით! ამიტომ ერთმა ფრანგმა ჟურნალისტმა ქალმა წამოაყენა წინადადება, რომ ამ საკითხის გადაწყვეტაზე მოდელიორებთან ერთად არქიტექტორებმა, მხატვრებმა და მსახიობებმაც იფიქრონო. ჯერჯერობით კი „მინი" და „მაქსი" მშვიდობიანად თანაარსებობენ, თუმცა მაინც იგრძნობა რომ „მაქსი" გადაძლევს.

ჟურნალიდან „ბოლგარსკაია ჟენშჩინა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფერად-ფერადი

დღის განმავლობაში ადამიანი ხარჯავს გარკვეულ ენერგიას: დასვენების, წოლის დროს — წუთში 1 კალორიას, ჯდომის დროს — 1,2 კალორიას, დგომის დროს— 1,4, ტელეფონზე ლაპარაკისას — 1,5, ფორტეპიანოზე დაკვრის დროს —2,5, ავტომანქანის მართვისას — 2,8, ცეკვის დროს — 5,5 კალორიას, ხოლო ტენისის თამაშის დროს კი — 10 კალორიამდე.

*

იტალიის ქალაქ ვერონაში ყოველ დღე მიდის რომეოსა და ჯულიეტასადმი მიწერილი 15-20 წერილი. წერილებს იწერებიან მსოფლიოს ყოველი კუთხიდან. ის პირნი, რომლებიც ამ შესანიშნავი შეყვარებულების საფლავს დარაჯობენ, რომეოსა და ჯულიეტას სარკოფაგის წინ წვავენ გაუხსნელ კონვერტებს.

## ქაღალდის ახალი ამპლუა

1969 წლის გაზაფხულზე ქ. ბრნოში მოწყობილ ბაზრობაზე ჩეხოსლოვაკიის ახალმა საწარმომ „ვიგონამ" პირველად უჩვენა ქალის კაბის ნიმუშები... ქაღალდისაგან. ამ კაბებმა მაშინვე საყოველთაო ყურადღება მიიპყრო და საწარმომ საგრძნობლად გაადიდა მათი გამოშვება. ჩეხოსლოვაკურ კაბებს დასავლეთ ევროპის მიერ გამოშვებულ ქაღალდის კაბებთან შედარებით ბევრი უპირატესობა აქვთ. მაგალითად, თუმცა ფრთხილად, მაგრამ მაინც შეიძლება მათი სამჯერ გარეცხვა 40 გრადუსამდე გამთბარ წყალში. რა თქმა უნდა, არ უნდა გაიწუროს.

ქაღალდი შესანიშნავი მასალა აღმოჩნდა მთელი რიგი სხვა ნაწარმის დასამზადებლადაც. ამრიგად, პრაღის ერთ-ერთმა საწარმომ, სოციალისტურ ქვეყნებს შორის, პირველად გამოუშვა ქაღალდის რვა სახის ავეჯის გარნიტური, სახელწოდებით „დუპლექსორი". აქედან სამი განკუთვნილია ბავშვებისათვის. საბავშვო ავეჯის გარნიტური შესდგება სამი საგნისაგან — მაგიდა, სკამი და სავარძელი. ავეჯი საკმაოდ გამძლე და საოცრად მსუბუქია, მაგალითად, სავარძელი იწონის 400, ხოლო სკამი — 600 გრამს. ყველა ნივთი დაფარულია პლასტმასის ფირფიტებით, რომლებიც კარგად ირეცხება.

სახალხო საწარმომ „ბრნენსკიე პაპირნიმ" დაიწყო ქაღალდის კარვების წარმოება. ეს კარვები წყალგაუმტარია და, რაც მთავარია, იაფია.

## პედიატრიის ანბანი

განყოფილებას ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი ირაკლი ფ ა ღ ა ვ ა.

# ბავშვის კვება ერთიდან სამ წლამდე

მეორე წლიდან, საღეჭი კბილების ამოსვლის შემდეგ, ბავშვის მენიუ უფრო მრავალფეროვანი ხდება. საკვების დამზადების წესი იცვლება: თხელი საკვები უფრო სქელდება და 1,5 წლიდან, გახეხვის ნაცვლად, პროდუქტს წვრილ ნაჭრებად ანაწილებენ და დარბილებამდე ხარშავენ. ხორცის პიურე კატლეტებით შეიცვლება. კატლეტი ჯერ ორთქლზე მზადდება, ორი წლისათვის კი ბავშვს შემწვარი სახით ეძლევა. ორი წლის ასაკიდან ხორცი შეიძლება მიეცეს წვრილ ნაჭრებად მომზადებულიც (რაგუ, ბეფსტროგანოვი, გულიაში, სოუსი და სხვა). ასევე წვრილად დაჭრილი ეძლევა ბოსტნეულის კერძებიც — მოხარშული თუ მოშუშული.

როგორც ვთქვით, პროდუქტები 1-1,5 წლის ასაკიდან მრავალფეროვანი ხდება. ბავშვს პური სხვადასხვა სახეობისა ეძლევა — თეთრი, შავი, ფუნთუშეული. მენიუში შეგვაქვს ყოველგვარი ბურღულეული, ბოსტნეული, თევზეული, რძისა და ხილის კისელები, კრემები, ხილ-ფაფა, მაწვნის შეჭამადი, სხვადასხვა მწვანილი (მცირე რაოდენობით), პაშტეტები (ღვიძლის, თევზის). მოხარშული ტვინი და ზოგიერთი მარცვლეული. ორი წლიდან ბავშვს კვირაში 1-2 ჯერ შეიძლება მიეცეს სათანადოდ შემზადებული ლობიო და ისპანახი ერბო-კვერცხით.

თუ ბავშვს პირველად ვაძლევთ ახალ კერძს ან რაიმე პროდუქტს, საკვები ჯერ მცირე რაოდენობის უნდა იყოს, შემდეგ ულუფას თანდათან გავზრდით.

ვინაიდან ყოველ ახალ საკვებს ბავშვი ეჭვით უყურებს და დიდი სიფრთხილით, ყოველგვარი სურვილის გარეშე იღებს მას, კერძი უნდა „შევნიღბოთ" იმ სახის კერძით, რომელიც ბავშვს უფრო უყვარს. გარდა ამისა, კერძი მიმზიდველად უნდა გამოიყურებოდეს. ამიტომ უნდა მოვრთოთ ხან სახეხზე გახეხელი წითელი ბოლოკით, ხან წვრილად დაკეპილი კამით, მწვანე ხახვით, სტაფილოთი და ა. შ.

სამი წლის ასაკამდე ბავშვმა არ უნდა მიიღოს ცხვრის, ღორისა და ბატის ხორცი; არ არის საჭირო კაკაო, შოკოლადი. ტკბილეულობიდან შეიძლება მივცეთ მხოლოდ მარმელადი, აგრეთვე კარამელის კანფეტები და პასტილა.

ნამცხვარი, ხილი და ტკბილეულობა ბავშვს უნდა მიეცეს მხოლოდ ჭამის შემდეგ, ისიც მაშინ, თუ კარგად ჭამა თავისი კერძი. უნდა ვერიდოთ ჭამიდან ჭამამდე ბავშვისათვის რაიმეს მიცემას (თუნდაც, ხილისა და მით უფრო—ნამცხვრისა და ტკბილის), ბავშვს უნდა ჰქონდეს ზუსტად (ყოველდღე, ერთსა და იმავე საათზე) დადგენილი კვების რეჟიმი, რათა გამოუმუშავდეს დროზე ჭამის სურვილი.

დღის განმავლობაში საკვები უნდა განაწილდეს შემდეგნაირად: ნოყიერი და ხორცისაგან დამზადებული კერძები (საუზმე, სადილი) უნდა მიეცეს დღის პირველ ნახევარში. დღის მეორე ნახევარში კი უფრო მსუბუქი — რძისა და ბოსტნეულის ნაწარმი, ნაკლებ ტკბილი და ნაკლებ მარილიანი, რათა ბავშვს არ აღუძრათ ღამით წყლის დალევის სურვილი.

* დასასრული. დასაწყისი იხ. „საქართველოს ქალი", № 7, 8, 1970 წ.

# წვრილმანი რჩევები

რძე ცხელ ამინდშიც არ აიჭრება, თუ მას შუშის ან მომინანქრებულ ჭურჭელში მოათავსებთ და მერე ცივწყალჩასხმულ ტაშტში ჩადგამთ. ჭურჭელს ზევიდან ტილო გადაახურეთ, მისი ბოლოები კი წყალში ჩაუშვით.

* * *

სანამ ხახვს დაჭრიდეთ, დანა წინასწარ ცივ წყალში დაასველეთ. მაშინ ხახვში არსებული ეთერზეთები თვალებს არ აგიწვავთ.

* * *

თუ თქვენ ნაფტალინის სუნს ვერ იტანთ, შალეულის შესანახად იხმარეთ სუნამო ან ოდეკოლონი. ჩრჩილი მათ სუნს ვერ უძლებს.

* * *

დამჭკნარი მწვანილი — კამა, ოხრახუში, ნიახური — გაცოცხლდება, თუ ძმარნარევ წყალში ჩააწყობთ (ერთი ჩაის კოვზი ძმარი ნახევარ ჭიქა წყალზე).

* * *

წვნიანის ხარშვისას ქაფს იმიტომ ხდიან, რომ წვენი გამჭვირვალე იყოს, გემოზე კი ქაფი არ მოქმედებს.

* * *

ახალი კარტოფილი ადვილად გაიწმინდება, თუ წინასწარ მოათავსებთ ჯერ ცხელ და შემდეგ ცივ წყალში. კარტოფილის წმენდისგან ხელები რომ არ გაგიშავდეთ, წინასწარ დაისველეთ ძმრით და არ გაიმშრალოთ, ისე შეიშრეთ.

ბევრი დიასახლისი ხარშავს მურაბას სპილენძის ტაშტში. როგორც კი მურაბა მზად იქნება და შეგრილდება, მაშინვე გადაასხით სხვა ჭურჭელში. სპილენძის ტაშტში მისი გაჩერება არ შეიძლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვა სურვილი და ამით ხელი არ შევუშალოთ მშვიდ და ღრმა ძილს.

1-1,5 წლის ასაკიდან ბავშვის რაციონში კარაქთან ერთად უნდა იქნეს შეტანილი მცენარეული ზეთებიც (დღის ნორმის 10-15% რაოდენობით, რაც დაახლოებით 1-2 ჩაის კოვზს უდრის).

წყალი, უმჯობესია, ბავშვს მივცეთ გადადუღებული, განსაკუთრებით — ზაფხულის თვეებში. წყლისა და, საერთოდ, სითხის ანაზღაურების მიზნით, ბავშვის რაციონში უნდა შედიოდეს სუპეული, კამპოტი, კისელი, ხილის წვენები, ჩაის, რძის, ასკილის ნაყენი და სხვა.

რძის ნორმა დღე-ღამეში 1-2 წლის ასაკში — 700 მილილიტრია, ხოლო 2-3 წლის ასაკში — ნახევარი ლიტრი. წყლისა და სითხის რაოდენობა საშუალოდ უნდა ვიანგარიშოთ 80 მლ — 1 კილოგრამ წონაზე. როგორც წინათ ვთქვით, წყლის დალევინება ჭამის წინ სასურველი არ არის.

უნდა ვეცადოთ, რომ ბავშვის საკვები არ იყოს ერთფეროვანი. არ არის მიზანშეწონილი ბევრი რძისა და ნაკლები ბოსტნეულის ხმარება; ამან შეიძლება გამოიწვიოს მინერალური ნივთიერებების უკმარისობა, რასაც შეიძლება მოყვეს ძვლების სისუსტე. ძლიერ საჭირო და სასარგებლო ბოსტნეულია სტაფილო, ჭარხალი, კომბოსტო, კარტოფილი (ახალი ან ძველი, ამოსული კარტოფილის მიცემა ამ ასაკის ბავშვებისათვის არ შეიძლება.

ჭამის დროს ბავშვის ყურადღება მთლიანად საკვებისადმი უნდა იყოს მიმართული. სათამაშოებით ან ზღაპრებით გართობა ფანტავს ბავშვის ყურადღებას, ეს კი ხელს უშლის საჭმლის მონელებას.

მადას აქვეითებს ჭამის წინ ძლიერ აღგზნებადი, აქტიური თამაში. ამიტომ საკვების მიღებამდე $1^1/_2$-1 საათით ადრე ბავშვი უნდა გავართოთ მშვიდი თამაშით (ნახატების ჩვენება, ხატვა, ზღაპრის მოყოლა და სხვა).

მნიშვნელობა აქვს ულუფის ოდენობასაც. სადილის პირველი თავი — წვნიანი არ უნდა აღემატებოდეს 100-150 მილილიტრს, მეორე თავი უნდა შეიცავდეს ხორცს 70-100 გრამს და გარნირს — 100 გრამს. მესამე თავიც არ უნდა აღემატებოდეს 100 მილილიტრს. 2-3 წლის ასაკის ბავშვის ულუფა 50 გრამით მეტი იქნება.

გთავაზობთ სამი დღის სამაგალითო მენიუს, როგორც 1-1,5 ისე 1,5-3 წლის ასაკის ბავშვებისათვის:

**ელენე გერი-მახარაძისა,**

**მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბავშვთა კვებისა და ჰიგიენის განყოფილების ხელმძღვანელი.**

პირველი დღე

| | საუზმე | სადილი | სამხარი | ვახშამი |
|---|---|---|---|---|
| 1-1,5 წლისათვის | სიმინდის ფაფა, მაწონი ან რძე, პური. | გახეხილი ბოსტნეულის სუფი ხორცის ნახარშზე მომზადებული, ხორცის პიურე ან კატლეტი ორთქლში მოხარშული. კარტოფილის პიურე, კისელი. | მაწონი, ხაჭო, ხილის პიურე, ნამცხვარი. | სტაფილოს პიურე, რძე ან მაწონი, პური. |
| 1,5-3 წლისათვის | ბურღულის ფაფა, რძიანი ჩაი ან რძე, კარაქიანი პური. | ხორცის სუპი ბოსტნეულით, კატლეტი ორთქლში მომზადებული, მოხარშული კარტოფილი, კისელი, პური. | მაწონი, ხაჭო რძით, ნამცხვარი, ხილი. | მოხარშული ბრინჯისა და სტაფილოს კატლეტი, რძე ან მაწონი, პური. |

მეორე დღე

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1-1,5 წლისათვის | ერბო-კვერცხი, რძე ან რძიანი ჩაი, პური. | ბულიონი ხორცის გუფთით, ბრინჯის პუდინგი ნაღებით ან ჯემით, პური, ხილი. | მაწონი, ნამცხვარი, ხილის წვენი. | ბოსტნეულის პიურე, პური, მაწონი ან რძე. |
| 1,5-3 წლისათვის | ერბო-კვერცხი გახეხილი სტაფილოთი, რძე, კარაქიანი პური. | ბულიონი ხორცის გუფთით, კარტოფილის კატლეტი კისელმოსხმული, პური, ხილი. | მაწონი, ნამცხვარი, ხილი. | დაჭრილი, მოხარშული ბოსტნეული ზეთმოსხმული ან მაიონეზით. მაწონი ან რძე, პური. |

მესამე დღე

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1-1,5 წლისათვის | ბრინჯის ფაფა ვაშლის პიურეთი, პური, რძე. | ხორცის ნახარშზე მომზადებული გახეხილი ბორში. ხორცის გუფთა მოშუშული ბოსტნეულის პიურეთი, რძის კისელი, შავი პური. | რძე ან მაწონი, ფუნთუშა, ხაჭო. | ბრინჯის ან გოგრის ფაფა, რძე ან მაწონი, პური (პეჩენიე), ხილი. |
| 1,5-3 წლისათვის | ბრინჯის ფაფა, პური კარაქითა და ჯემით, რძიანი ჩაი ან რძე. | ხორცის სუფი ვერმიშელით ან ბორში, ხორცის ტეფტელი მოშუშული ბოსტნეულით. რძის კრემი, შავი პური. | რძე ან მაწონი, ფუნთუშა, ხაჭო არაჟნით. | ბრინჯ-გოგრის ფაფა, რძე ან მაწონი, პური კარაქით ან პეჩენიე, ხილი. |

# გამარჯვებული სეზონები

სანამ სცენაზე ავიდოდა, ვიოლინოს დაეუფლა. გამოდიოდა კონცერტებზე და მტკიცე ხელის მტევნით ცდილობდა მოეთხრო მსმენელისათვის მუსიკის ამოუცნობ სამყაროზე, სიხარულზე, წუხილზე, სიყვარულზე, ბედნიერებაზე, სიცოცხლის სილამაზეზე. მაგრამ შემდეგ „უღალატა“ საყვარელ საკრავს, რადგან უკვე თითქოს მთელი სხეულით, არსებით სურდა ლაპარაკი, სიცილი, ტირილი; სწყუროდა უფრო დამაჯერებლად ეთქვა იმათთვის, ვინც უყვარდა. ამიტომ, კონსერვატორიის ნაცვლად, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში გააგრძელა სწავლა.

სტუდენტური ცხოვრების ყველაზე ლამაზ წლებში გაეცნო და დაუახლოვდა ადამიანებს, რომლებიც აქამდე სცენაზე თუ ეხილა: აკაკი ხორავას, დოდო ალექსიძეს, მალიკო მრევლიშვილს. სწორედ მათი მეოხებით დაეუფლა ლეილა ძიგრაშვილი თეატრის ჯადოსნურ კანონებს, არტისტული გამომსახველობითი ხერხების საიდუმლოებას.

თვალის დახამხამებაში გაიარა თითქოს მღელვარე, მშფოთვარე, ძალზე კარგმა ოთხმა წელმა. ინსტიტუტდამთავრებულმა არჩევანი მოზარდ მაყურებელთა ქართულ სახელმწიფო თეატრზე შეაჩერა. ყველაზე ალალსა და ულმობელ, გულწრფელსა და მკაცრ მაყურებელთან წარსდგა მთელი რიგი სეზონების მანძილზე. სცენური სილალის განუმეორებლობას სწავლობდა გოგუცა კუპრაშვილისა და თამარ თვალიაშვილისაგან, გიორგი დარისპანაშვილისა და ვახტანგ არეშიძისაგან...

ლამაზად ბარდნიდა თბილისში... ფანტელებს თითქოს უხაროდათ ახალბედა მსახიობის ბედნიერება, ისე მიაცილებდნენ ელბაქიძის დაღმართზე. ხასხასა ზამთრის ჟრიამულს აჰყოლოდნენ ბიჭუნები და გამვლელთ თოვლის გუნდების სეტყვას უშენდნენ. მანაც დაიფარა თავზე ხელი... არა, არ გაბრაზებულა... უბრალოდ, ელოდებოდა, როდის გაიზუზუნებდა მუჭში მოქცეული გუნდა მის ყურთანაც... მაგრამ ეს რა ესმის? „არ ესროლოთ, ბეკია!“.. იცნეს... გამარჯვებულმა და ყველაზე ბედნიერმა ჩაიარა...

მოზარდების უდიდესი სიყვარული მოიპოვა ლეილა ძიგრაშვილმა პირველივე როლიდან: ობოლი და უბედური ზანგის გოგონა — ბეკი „ალმასის საბადოებში“; და ამ სიყვარულითა და გამარჯვებით მიაბიჯებდა იგი წლების მანძილზე, როდესაც ზედიზედ ჰქმნიდა მეშჩანობის მორევში ჩაფლულ ლენოჩკას (როზოვის „სიხარულის ძიებაში“), ცხოვრებას ასხლეტილ, ტემპერამენტით აღვსილ, დაუდეგარსა და ეშმაკ მარიას (შექსპირის „მეთორმეტე ღამეში“), რევოლუციისათვის თავდადებულ, ახალი ცხოვრებისათვის მებრძოლ ნინოს (გ. ნახუცრიშვილის „ბორის ძნელაძეში“). ვის არ ახსოვს ლეილა ძიგრაშვილის მიერ განსახიერებული ბოროტი ჯადოქრისაგან გაუბედურებული დედა ოსკარ უაილდის „ვარსკვლავბიჭუნაში“, და საერთოდ მისთვის დამახასიათებელი თვისება დიამეტრულად სხვადასხვა იერსახეთა განსახიერებისა. მსახიობი ყოველთვის ხორცსავსეს, მხატვრულად დასრულებულს ელტვოდა სცენურ მოქმედებაში და ამიტომაც გამარჯვების კანონზომიერი ზღურბლთან იდგა ყოველთვის. მოზარდები განსაკუთრებული ლოდინით აღვსილნი შესცქეროდნენ სცენას საყვარელი მსახიობის გამოჩენისას, რადგან ისინი არა მარტო სრულყოფილ სახეებს უყურებდნენ, არამედ პირველ რიგში ცხოვრებას სწავლობდნენ მსახიობის შემოქმედებისაგან.

გვინდა მკითხველს მოვაგონოთ 1963 წელი. ამ წელს, მოსკოვში, მოზარდ მაყურებელთა თეატრების საკავშირო დათვალიერება გაიმართა. მოსკოვის მაყურებელთა წინაშე ქართული საბავშვო თეატრი წარსდგა დრამატურგ ვახტანგ გოგოლაშვილის პიესით „წეროები“. ეს არის პიესა პატარა იაპონელ გოგონას — ისიკოს ხანმოკლე სიცოცხლეზე და მის ტრაღიკულ სიკვდილზე. ამ გოგონას უბედურება გაიგო და განიცადა მთელმა კაცობრიობამ. გოგონას დედის — მორიამას როლს თამაშობდა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ლეილა ძიგრაშვილი, რომელმაც ღირსეულ პარტნიორთან, ისიკოს როლის შემსრულებელ, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტ ეთერი სიხარულიძესთან ერთად, აღტაცებაში მოიყვანა მოსკოველი მაყურებელი. განსაკუთრებულად ძლიერად ატარებდა მსახიობი ფინალურ სცენას: „ჩემი პატარა გოგონა იაპონიაში დაიბადა კუნძულ კიუ-სიუზე. სანამ ცოცხლობდა, არ იცნობდით. ახლა კი, როცა აღარ არის, ყველამ უნდა გაიგოს მისი ამბავი. ყველამ, ყველამ, რათა არც ერთმა ბავშვმა აღარ იცხოვროს ასეთი წამებით, არც ერთი ბავშვი აღარ მოკვდეს ასე საშინლად. ეს იყო ისიკოს უკანასკნელი სურვილი და სამახსოვროდაც კეთილი სურვილები დაგიტოვათ, და კიდევ წეროები, აი, ასეთი ლამაზი, თეთრი, გრძელნისკარტა და გრძელფეხება წეროები“, — ამბობდა მსახიობი, გაივლიდა მთელ სცენას, ჩადიოდა დარბაზში და მაყურებელს გადასცემდა ქაღალდის წეროებს... ალბათ დღესაც იმ სპექტაკლის მოსაგონად ბევრ ბავშვს შემორჩა მსახიობის მიერ დარბაზში ნაბოძები თეთრი წერო...

ლეილა ძიგრაშვილმა მაქსიმალურად მისცა თავისი ნიჭის შესაძლებლობა მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრს და სულ ორიოდე წლის წინ რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის კარები უკვე დაჭარმაგებულმა ოსტატმა შეაღო...

პიტალო კლდეთა ურყევ ტრადიციას ატმასნებია ადათ-წესების მონადქცეული, მაგრამ მაინც დედა — სამძივარა (გამსახურდიას „ხოგაის მინდია“); ეს იყო მისი ბრწყინვალე გამარჯვება დიდ თეატრში. ქმრის მორჩილებას დაუსაწყლებია ფერგადასული ტასია („გვადი ბიგვა“), მოქმედების ჯადოსნურობას მოუცავს რებეკა ნერსი („სეილიმის პროცესი“), თავისი გადაწყვეტილების ერთგულებას განსაკუთრებული ენერგიით აღუჭურავს ქაბატო („ხანუმა“); და ამ ორი-სამი სეზონის მანძილზე კიდევ ბევრი საინტერესო სცენური სახე, რომელთა ხორცშესხმას ლეილა ძიგრაშვილი მთელი პროფესიული სიღრმით, დიდი გემოვნებით უდგება. მისი სცენური მოქმედება ყოველთვის ხაზგასმული ტემპერამენტით, სულიერი თუ ფიზიკური მოძრაობის უჩვეულო დინამიკით ხასიათდება და მსახიობიც გამოირჩევა ხოლმე საკუთარი ხელწერით. გასულ წელს კი უფრო მეტი გამარჯვება მოუტანა დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალმა“. ამ მეტად თავისებური სპექტაკლის წარმატება ლეილა ძიგრაშვილის ელენემაც განაპირობა.

მართალია, ლეილა ძიგრაშვილი ახლა დიდი თეატრის მსახიობია, მაგრამ ნორჩებისათვის კვლავ საყვარელი და ახლობელი ადამიანია. ამიტომაც ხშირად ვხედავთ ნორჩებში და ყოველთვის კომპოზიტორ მერი დავითაშვილთან ერთად. დაგაინტერესებთ, რატომ ყოველთვის ერთად? ამ ორ ადამიანს დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ. ლეილა ძიგრაშვილი კომპოზიტორის სიმღერების საუკეთესო შემსრულებელია, რაც კარგად იციან ნორჩებმა და თავიანთ საღამოებში სიამოვნებით უსმენენ ამ ორი ხელოვანის შემოქმედებას.

მუდამ ენერგიით სავსე, საშუალო ტანის მოხდენილ ქალს, ნიჭიერ მსახიობს, ორი ვაჟის დედას, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს, ყოველთვის მიეჩქარება თეატრში — რეპეტიციებზე, კინოსტუდიაში — გახმოვანებაზე, რადიოსა და ტელესტუდიაში — გადაცემებზე, ბედნიერ ოჯახში, მორიგ სპექტაკლზე, მაყურებლებთან შეხვედრაზე და ყველგან მოუთმენლად ელოდებიან მას, ცხოვრებისა და სცენის ლამაზად შეკრულ თაიგულს!

ზორა გაგელია

გარეკანის პირველ გვერდზე — პირველკლასელი. ფოტოეტიუდი ნორა ანთიძისა; მეოთხე გვერდზე — რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებული ასმათ ტყაბლაძე. ფერადი ფოტო დ. იაკობაშვილისა.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ქ. დემუროვა.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. №14. ტელეფონის №,№: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის— 93-98-56, განყოფილებების — 99-50-39, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საქმეთამმართველის—93-98-54. გადაეცა ასაწყობად 16/IV-70 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/VII-70 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3, სააღრიცხვო საგამომცემლო თაბახი 5,3.

ტირაჟი 111.700. შეკვ. 1922 უე 02132. ფასი 30 კაპ.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი „საქართველოს ქალი“.
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал «Сакартвелос кали».
Издательство ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლეილა ძიგრაშვილი



ვირგინია — „გალილეო გალილეი".

დედა — ო. უაილდის „ვარსკვლავბიჭუნა".





დედა — პ. გოგოლაშვილის „წეროები".

ИНДЕКС 76178

ეროვნული ბიბლიოთეკა

